ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 11 ივლისი, 2019 №162 (8116) ფასი: 60 თეთრი

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ჩემზე პარლამენტში დაშვებული იყო საშვი და მზად ვარ, დაკითხვაზე მივიდე“ გვ.2



9 ივლისიდან

ჯეიმს ფონიმორ კუპერი

ჯაშუში

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# „მათემატიკური სიზუსტით შემიძლია გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის რუსული პროექტი“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „20 ივნისის ღამესთან 26 მაისის და 7 ნოემბრის დარბევების გაიგივება არ შეიძლება“

„საქართველოს მთავრობა არის კოლაბორაციონისტი, კოლაბორაციონისტებს ბევრ ქვეყანაში ხვრეტდნენ და ხვრეტენ“







## თორნიკე შარაშენიძე: „ხაზარაძემ ჩათვალა, რომ ბიძინა დასუსტდა და ახლა ამიტომ გამოჩნდა“ გვ.4

„გახარია სხვების პასუხისმგებლობასაც საკუთარ თავზე იღებს“

## თაკო ჩარკვიანი: „ჩემი სამშობლოს გამყიდველო, ივანიშვილო, შეგაკვდები“ გვ.2

„ვასაძე და ბურჯანაძე არ არის საქართველო“

**სამართალი** გვ.7

გიგი უგულავა: „იძიებენ მისტიკურ სახელმწიფო გადატრიალებას“





მალხაზ მაჩალიკაშვილის ახლობელი გიორგი ოლქიევი გუშინ, 10 ივლისს, სუს-ში გამოკითხეს



ვარკეთილში ხელყუმბარის აფეთქებამ 3 ადამიანის დაჭრა გამოიწვია

აფეთქებამდე 15 წუთით ადრე ბიჭები კამათობდნენ

**ეკონომიკა**



ფადი ასლი: „ქართული ბიზნესი ისე უნდა გადაეწყოს, რუსეთზე დამოკიდებულება 10%-ს არასდროს აჭარბებდეს“ გვ.6



საგანგაშო სტატისტიკა — ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი ქართულ ეკონომიკაში 65%-ია

აკაკი ცომაია: „ეკონომიკაში არსებული პროცესები ლარის გამყარების საფუძველს არ გვაძლევს“



„გუდვილს ჯამური ვალდებულებების თითქმის 70% გასტუმრებული აქვს“

ISSN 1987-9385

5 მირიან მირიანაშვილი: „რუსული გეგმის თანახმად, საქართველოს პოლიტიკა მრავალოლიგარქიული უნდა გახდეს“

5 შალვა ნათელაშვილი: „საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიხსნას აშშ-ის სამხედრო ბაზა, თუნდაც მასზე განლაგებული ბირთვული იარაღით“

4 დავით დარჩიაშვილი: „პუტინის პირობებში საქართველოს დეოკუპაცია შეუძლებელია“

8 ვლადიმერ ყარა-მურზა: „დღეს რუსეთში მეტი პოლიტპატიმარია, ვიდრე საბჭოთა ეპოქაში იყო“

# „ჩემზე პარლამენტში დაშვებული იყო საშვი და მზად ვარ, დაკითხვაზე მივიდე“

## გახარიას მტკიცებით, ოპოზიცია საშვების რევოლუციას აწყობდა

შორენა მარსაგიშვილი



ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების გამო ერს დროებით მიავიწყდა შს მინისტრი გიორგი გახარია. მთავარმა პოლიციელმაც იფიქრა, პუტინის გინება-ქებაზე გადართული ქართველები ჩემთვის აღარ მოიცლიანო და ექსპერტებისთვის გულის გადაშლა გადაწყვიტა.

ექსპერტებთან დახურული შეხვედრის კულუარულ ამბებს როგორმე სხვა დროს გიამბობთ, მაგრამ სკანდალისთვის ისიც საკმარისი აღმოჩნდა, რაც გახარიას ნახვით გახარებულმა ექსპერტებმა გარეთ გამოიტანეს.

მთავარ პოლიციელს მათთვის დათვის ტყვიების გამოყენების აუცილებლობა განუმარტია და ისიც დაუყოლებია, გადატრიალება მზადდებოდაო. ამის მტკიცებულებად კი მინისტრს ოპოზიციაზე დაშვებული საშვები მოუტანია.

იმ სისხლიან დღეს პარლამენტში საშვი დიმიტრი ბიძინაშვილზეც იყო დაშვებული. ის საკანონმდებლო ორგანოშიც შევიდა და გავრილოვის მიერ წაბილწულ სკამსაც დააპროწიალებდა. პარლამენტში მან გააკრა რუსულ ოკუპაციას შეწირული ქართველი მებრძოლების ფოტოები.

აწყობდა თუ არა სხვებთან ერთად საშვების რევოლუციას, რას ჰპირდება ხელისუფლებას, რა კითხვების დასმას აპირებს გამოძიებისთვის? – ამის შესახებ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი დიმიტრი ბიძინაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– ყოველთვის მიმაჩნდა, რომ კანონმორჩილი ადამიანი იყავით. ექსპერტებთან შს მინისტრის ნაამბობიდან თუ ვიმსჯელებთ, პოტენციური გადამტრიალებელი ყოფილხართ. გახარიას თქმით, პარლამენტში დაშვებული იყო საშვები და ეს საშვებიანები რაღაცას აპირებდნენ. ერთი საშვი თქვენზეც იყო დაშვებული.***

– მეც ასე მეგონა, რომ კანონმორჩილი ადამიანი ვიყავი, მაგრამ გამოვიდა გახარია და ეს იმიჯი გამიცამტვერა. ვეცდები, რამენაირად სერიოზულად გაგცეთ საშვების რევოლუციაზე პასუხი, თუმცა ეს ძალიან ძნელი იქნება.

ხელისუფლება რომ პანიკაშია, ვიცით, მაგრამ ამ დონის პანიკა თუ იყო, არ მეგონა. „ოცნების“ ამ მდგომარეობას შს მინისტრის და ექსპერტების შეხვედრაც მეტყველებს.

გახარიამ ექსპერტებს უთხრა, რუსთაველზე ხალხს დათვის ტყვიები იმიტომ ვესროლე, რომ წვრილი ტყვიები არაეფექტური იყოო. ეს წვრილი ტყვიები პოლიციამ პანკისში გამოიყენა.

მერე დაუმატებია, აბა რა უნდა მექნა, ვიღაცები რევოლუციას აწყობდნენ – მათზე საშვები იყო დაშვებულიო.

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ოცნება“ სულ რევოლუციაზე საუბრობს. ხან საბურავების რევოლუცია მოელანდათ, ხან ვიდეოკამერების. ახლა კიდევ საშვების რევოლუცია მოიგონეს.

***– იმასაც გვეუბნებიან, რომ შეჭრას აპირებდით და თუ საშვები იყო თქვენზე დაშვებული, შეჭრა-შევარდნა რა აუცილებელი იყო?***

– ეგ გახარიას ჰკითხეთ, მაგას ეცოდინება. მე იმას გეუბნებოდით, რომ გამუდმებით მოსალოდნელ გადატრიალებაზე საუბრობენ. მეშვიდე წელია, რაც ხელისუფლებაში არიან და ამ ხნის მანძილზე არც გადატრიალებული ვინმე გვინახავს, არც გადმოტრიალებული და არც ამოტრიალებული.

20 ივნისს პარლამენტში საშვით შევედი. შევედი იმიტომ, რომ საქართველოს პირდაპირი და ღია მტრის, გავრილოვის, ვიზიტი გამეპროტესტებინა.

ეს ადამიანი არის ქართული სახელმწიფოებრიობის მტერი და გახარიამ იმათ უნდა დასდოს გადატრიალებაში ბრალი, ვინც რუსი დეპუტატი ჯერ საქართველოში ჩამოიყვანა და მერე პარლამენტის სპიკერის სავარძელში ჩასვა.

ამ ადამიანებზე ხმას არ იღებენ და ჩვენ წინააღმდეგ აპირებენ საქმის აღძვრას. არადა ძალიან კარგად იციან, რომ არავინ არ ვაპირებდით გადატრიალებას, ჩვენი დასჯა იმიტომ უნდათ, რომ გავრილოვი პარლამენტიდან გავუგდეთ.

***– გავრილოვის გამო თუ ისჯებით, თქვენ სერიოზული სასჯელი გეკუთვნით. ვიხილეთ, როგორ დააპროწიალებდით რუსი დეპუტატის მიერ წაბილწულ სავარძელს და ზოგიერთი გამყიდველი ქართველის აზრით, გაუგონარი თავხედობა ჩაიდინეთ – რუს დეპუტატებს იმ ბიჭების ფოტოები გაუკარით, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპნენ.***

– ძალიანაც კარგი ვქენი, რომ ეს გავაკეთე. ტატუნაშვილის, ანწუხელიძის, ოთხოზორიას, შინდისის გმირების და სხვა ბიჭების ფოტოები იმ ადგილზე გავაკარი, სადაც გავრილოვი დასვეს.

ამ ბიჭების პატივის მიგების გამო და გავრილოვის გაგდებისთვის თუ მიპირებენ გასამართლებას, გამასამართლონ, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება.

***– ჩვენს ქვეყანაში ისე მიდის საქმე, რომ შეიძლება მართლაც დაისაჯოთ ამის გამო.***

– არ გამიკვირდება. არც ის გამიკვირდება, რომ რუსეთის გინება კანონით დასჯადი გახდეს. სხვა რას უნდა ველოდო იმ ხელისუფლებისგან, რომელიც პუტინის დედის ტ..ის დასაცავად გამოვარდა და სახალხოდ ლოყები დაიხოკა.

ბევრს არ სჯეროდა, რომ ივანიშვილი რუსული პროექტი იყო. ამ დღეებში ამაში ყველა დარწმუნდა. მთელი მთავრობა სიმაღლის მიხედვით დაეწყო და პუტინს ბოდიშებს უხდიდა. სამაგიეროდ, ხმა არავის ამოუღია, როცა რუსეთის პრეზიდენტმა ისტორია გაგვიუპატიურა და ოკუპანტები გვეძახა. მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ თურმე ჩვენ მოვუწყვეთ ოსებს და აფხაზებს გენოციდი.

***– მთლად უპასუხოდ არ დაუტოვებიათ, ნაზად დაგმეს პუტინი.***

– განაცხადეს, ეს იყო ისტორიის შეცვლაო. ისტორიის შეცვლა კი არა, ეს ისტორიის თავზე გადახევა იყო.

ესენი კიდევ ვითომ არაფერი, ბედნიერი სახეებით მადლობას უხდიან პუტინს. მეტი დასტური რაღად გინდათ იმისთვის, რომ დღეს საქართველოს რუსული ხელისუფლება მართავს. სამარცხვინო იყო იმ ხალხის ყურება, რომლებიც ამ დღეებში პუტინს საჯარო ბოდიშებს უხდიდა.

ამ ამბებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს კაგებეს არქივების გახსნა. უნდა გასაჯაროვდეს იმ ხალხის ვინაობა, ვინც რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის მოღალატე, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქვეყანას არაფერი ეშველება.

მესმის, რომ ამას დიდი ამბები მოჰყვება, მაგრამ ჩვენ სხვა გზა უბრალოდ აღარ გვაქვს. ამ მოღალატეების გამო არის დღეს ქვეყანა დაპაუზებული და მათი წყალობით მიდის საქართველო უკან-უკან.

***– მოდით, ამ მოღალატეებს თავი დავანებოთ და ისევ თქვენზე ვისაუბროთ, საშვების რევოლუციის მოწყობის ფარგლებში თქვენც დაგიბარებენ დაკითხვაზე?***

– წინასწარ ვერ გეტყვით, რა იქნება, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ მეც დამიბარებენ დაკითხვაზე.

***– რად გინდათ, რომ დაკითხვაზე დაგიბარონ?***

– მინდა მათაც ვუთხრა, რასაც ამ ამბებზე ვფიქრობ. ამის გარდა, მაინტერესებს ბევრი რამის გარკვევა და რაღაც კითხვები მინდა დავსვა.

***– ანუ იქეთ აპირებთ მათ დაკითხვას?***



### დიმიტრი ბიძინაშვილი: „არ გამიკვირდება, მწარედ დაგვსაჯონ“

– წესით, ხელისუფლების წარმომადგენლების დაკითხვა უნდა მოხდეს. ეს მათ უნდა უპასუხონ ბევრ კითხვას. მე მაინტერესებს, რატომ დასთხარეს ბავშვებს თვალები და რას ნიშნავს ფრაზა, რაკეტისებური ტყვიები იმიტომ გამოვიყენეთ, რომ წვრილი ტყვიების გამოყენებამ ეფექტი არ მოგვცაო.

***– არც ეს დათვის ტყვიები იყო დიდად ეფექტური, ახალგაზრდების პროტესტი ვერ გააჩერა.***

– ვერც გააჩერებს. იმედია, მომავალში ნამდვილ ტყვიებს არ გამოიყენებენ და მერე არ იტყვიან, ესენი იმიტომ გავისროლეთ, დათვის ტყვიები ეფექტური არ იყოო.

რუსეთის ხელისუფლებამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის ადამიანების სიცოცხლე არაფერს ნიშნავს. „ოცნებაც“ რუსეთის ხელისუფლების შემადგენელი ნაწილია და არ გამიკვირდება, მწარედ დაგვსაჯონ. განსაკუთრებით იმისთვის, რომ რუსეთს ვაგინებთ.

ამათგან ყველაფერს ველოდები, მაგრამ ეს ჩვენს პროტესტს ვერ შეანელებს, საქართველო არასდროს შეეგუება რუსულ ჩექმას.

ვაცხადებ ღიად, რომ ჩემზე პარლამენტში დაშვებული იყო საშვი და მზად ვარ, დაკითხვაზე მივიდე. ხოლო თუ საშვის ქონა რევოლუციონერობას ნიშნავს, ორმაგი რევოლუციონერი ვარ.

***– ორმაგი რევოლუციონერი რატომ?***

– მე ხომ თბილისის საკრებულოს საშვიც მაქვს.

***– აბა, ჩე გევარა გამოდიხართ.***

– რა თქმა უნდა.

# თაკო ჩარკვიანი: „ჩემი სამშობლოს გამყიდველო, ივანიშვილო, შეგაკვდები“

## „ვასაძე და ბურჯანაძე არ არის საქართველო“

იაგო ნაცვლიშვილი



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა, რომელმაც ისტორია დაამახინჯა და თქვა, რომ 1918 წელს საქართველომ აფხაზეთის ანექსია მოახდინა, ხოლო 1919 წელს ოს ხალხს პრაქტიკულად გენოციდი მოუწყო. პუტინმა იმავე ინტერვიუში „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას ტექსტსა და საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციის საკითხზეც ისაუბრა. თქვა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა გაბუნიასთვის ზედმეტად დიდი პატივი იყო, ხოლო სანქციებს მხარს „ქართველი ხალხის პატივისცემის“ გამო არ უჭერს.

პუტინის ამ განცხადებამ საზოგადოების ერთი ნაწილის აღფრთოვანება გამოიწვია, მათ შორის ნაბიჯი მოუწონეს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი ამ გადაწყვეტილებას მიესალმა კიდეც. სამაგიეროდ, ისტორიული ფაქტების დამახინჯებასთან დაკავშირებით დავით ზალკალიანი საკმაოდ ზომიერი იყო. მართალია ფაქტი დაგმო, მაგრამ რატომღაც არ ყოფილა ისეთი ომახიანი, როგორც მისი უწყება გაბუნიას ეპიზოდთან დაკავშირებით იყო, როცა ჟურნალისტის მიერ პუტინის გინების გამო რეაგირებისთვის საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა.

რამდენად გამართლებულია საქართველოს საგარეო უწყების პოზიცია, ხომ არ დგება სახელმწიფოებრიობის პრობლემა და არის თუ არა ეს მინისტრ ზალკალიანის პასუხისმგებლობის საკითხი? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტიის „კანონი და სამართალი“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი საუბრობს:

***– ვნახეთ, რომ საგარეო უწყება ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას განცხადებაზე საერთაშორისო საზოგადოებას სთხოვს რეაგირებას, პუტინის გადაწყვეტილებას მიესალმება სანქციებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, ზომიერ კომენტარს აკეთებს, როცა პუტინი ისტორიულ ფაქტებს ამახინჯებს და ამბობს, რომ საქართველომ 1918 წელს მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია. რეალურად საგარეო საქმეთა სამინისტრო გვაქვს?***

– არა თუ საგარეო საქმეთა სამინისტრო, არამედ დღეს ქვეყანაში არავინ არ არსებობს. ასეთი არის ერთი კაცი და იმიტომ არის საშიში არაფორმალური მმართველობა. იმიტომ ვიკლავ თავს, როცა ვიძახი უბედურებაში ვართ-მეთქი. ყველა მისი მონაა, ლაგამამოდებული. რაც მოხდა, ადამიანი იმას თუ ვერ ხედავს, უბრალოდ, ჩვეულებრივი კოლაბორაციონისტია. ერთი ადამიანიც თუ გამოჩნდება გამოკვეთილად ასეთი, ეს ნიშნავს, რომ მას უნდა მიუერთოს საქართველო რუსეთს და მის გუბერნიად აქციოს.

რომელ საგარეო საქმეთა სამინისტროზე ვსაუბრობთ საერთოდ, სად გვაქვს ასეთი უწყება და რომელ მინისტრზე ვლაპარაკობთ?!

***– პუტინის განცხადება სანქციებზე გათამაშება იყო? რაღაცნაირად წარმოაჩინეს ისე, რომ კეთილი პუტინი გვაჩვენეს?***

– აბა გათამაშება რომ არ იყოს, ხომ ვნახეთ, რეებიც ილაპარაკა. 1918 წელს საქართველომ დაიპყრო აფხაზეთიო, ხოლო 1919 წელს უარესი გააკეთა ოსეთში და გენოციდი მოაწყესო. ხალხო, ქვეყანა წაგვართვეს და ის წაგვართვა ემისარმა ივანიშვილმა, რომელიც რეზიდენტია სათავეში.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მათემატიკური სიზუსტით შემიძლია გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის რუსული პროექტი“

## მურმან დუმბაძე: „20 ივნისის ღამესთან 26 მაისის და 7 ნოემბრის დარბევების გაიგივება არ შეიძლება“

შორენა მარსაგიშვილი

რა წვლილი მიუძღვის ივანიშვილის 7 ნოემბრის დარბევაში, რატომ არ უშვებდნენ ჭორვილაში სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს, რა ელოდება „ოცნებას“, შეიცვალა თუ არა პოზიცია 26 მაისის დარბევაზე და რატომ არ შეიძლება ძველი დარბევების 20 ივნისთან შედარება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

***– 2011 წლის 26 მაისის დარბევის ღამეს თქვენ სასტიკად გაგისწორდათ მაშინდელი ხელისუფლება. ამ ამბებიდან 8 წლის თავზე განაცხადეთ, რომ მაშინ მომიტინგეებმა კანონი დაარღვიეთ.***

– კიდევ გავიმეორებ, რომ ჩვენ მაშინ კანონი დავარღვიეთ, ოღონდ ღამის 12 საათის შემდეგ. მანამდე ჩვენ კანონის სრული დაცვით ვმოქმედებდით. 12 საათისთვის ჩვენთან მოვიდა თბილისის მერიის წარმომადგენელი და გვითხრა, რომ დაგვეტოვებინა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, სადაც დილით სამხედრო აღლუმი და სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებები უნდა გამართულიყო.

მერიის მოთხოვნის შესრულებაზე უარი ვთქვით და არ გავათავისუფლეთ ტერიტორია. ასეთ დროს ხელისუფლებას უფლება აქვს, გადაგიყვანოს სხვა ტერიტორიაზე. რახან ჩვენ გავჯიუტდით, გაჯიუტდა მთავრობაც.

***– ის, რაც მაშინ მთავრობამ გააკეთა, გაჯიუტება არ ყოფილა. ეს იყო სასტიკი დარბევა.***

– მართალია. მთავრობამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ძალას გადაამეტა. მათ ადგილზე მე მომიტინგეებს დერეფანს მივცემდი და ისე გავაძევებდი რუსთაველიდან. არავითარ შემთხვევაში არ მოვაქცევდი მათ ალყაში.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენ მაშინ კანონს ვარღვევდით – სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღესასწაულს ვშლიდით.

***– ეგ გასაგებია, მაგრამ ამაზე ახლა რატომ ალაპარაკდით? ამით რაღაცნაირად ნაციონალებს ხომ არ აფარებთ ხელს, რომლებიც დანარჩენ ოპოზიციასთან ერთად 20 ივნისის დარბევას აპროტესტებენ.***

– არა, არა. ეს არაფერ შუაშია. თანაც 26 მაისის აქცია სულ სხვა იყო და 20 ივნისისას სხვა დატვირთვა ჰქონდა. 2011 წელს სააკაშვილის წინააღმდეგ გამოვედით. მიმდინარე წლის ივნისს კი სახელმწიფო სუვერენიტეტის სრული დაცვა მოვითხოვეთ.

სახელმწიფო სუვერენიტეტი რა არის – ჰიმნი, გერბი, დროშა. ამათი დაცვა მოვითხოვეთ მას შემდეგ, რაც პარლამენტში, სპიკერის სავარძელზე წამოსკუპდა რუსი დეპუტატი.

ასე რომ, 20 ივნისის აქცია არის მორალური ამბავი, ხოლო 26 მაისის დარბევა – კანონის საკითხი. 20 ივნისი თავისი მნიშვნელობით ბევრად მაღლა დგას.

***– ბევრად მაღლა დგას, მაგრამ 26 მაისს ბევრად მეტი სისასტიკე იყო გამოჩენილი.***

– მიუხედავად იმისა, რომ ის დარბევა მსხვერპლით დასრულდა, ვერ ვიტყოდი, რომ უფრო სასტიკი იყო.

***– რატომ ვერ იტყოდით?***

– იმიტომ, რომ ახლა ადამიანები დააბრმავეს.

***– დაბრმავება საშინელებაა, მაგრამ ადამიანის მოკვლა უდიდესი უბედურებაა. ამის გარდა, 2011 წელსაც ამოსთხარეს ადამიანს თვალი.***

– 2011 წელსაც ამოსთხარეს თვალი ბესიკ ტაბატაძეს. ახლა რამდენიმე ადამიანი დააბრმავეს. ადამიანის დაბრმავება მისი სიკვდილის ტოლფასია. ადამიანს თვალში რომ ესვრი, ის ფაქტიურად სასიკვდილოდ გყავს განწირული.

ეს ახალგაზრდები რომ არ მოკვდნენ, არის ღვთის ნება. ტყვია ნახევარი სანტიმეტრით გვერდზე რომ მოხვედროდათ, ეს ბავშვებიც დაიღუპებოდნენ.

ასე რომ, ჩვენ ვერ ვიტყვით, თუ რომელი დარბევა იყო უფრო სასტიკი. დარბევა დარბევაა და ის ჰუმანური არასდროს არ არის. ამიტომ გაუმართლებლად მიმაჩნია დარბევის ხარისხზე საუბარი.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ დემოკრატია ადვილი არ არის და ქვეყნის დემოკრატიულად მართვა რთულია. ბევრად იოლია სტალინური მეთოდით ქვეყნის მართვა.

***– სტალინურ მეთოდში რას გულისხმობთ?***

– გადაისვამ ულვაშზე ხელს, მათრახს დაატრიალებ და მორჩილებაში გეყოლება ქვეყნის მოსახლეობა.

დემოკრატიულად ქვეყნის მართვა გახლავთ ძალიან დიდი ხელოვნება, გემოვნება და მოთმინება.

***– ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა 26 მაისის დარბევის შემდეგ. თავად ასე თქვა, ამ სისხლიანმა ღამემ მაიძულაო. მან 20 ივნისის დარბევის მერეც გააკეთა განცხადება, მაგრამ ეს სისხლიანი ღამე არც კი უხსენებია. ამას რა ახსნა აქვს?***

– რა ახსნა უნდა ჰქონდეს. ის 26 მაისის და 7 ნოემბრის დარბევის დროსაც არ აპროტესტებდა არაფერს. ეგ და კალაძე მიხეილ სააკაშვილს უჭერდნენ აქტიურად მხარს. თბილისის ახლანდელი მერი 7 ნოემბრის დარბევას თავგამოდებით ამართლებდა.

კალაძე ვახსენე და ექსკლუზიურად გეტყვით, თუ რატომ არ ვუყვარვარ მას მე. ის ბიძინა ივანიშვილთან ჩემზე უფრო ადრე მივიდა. რამდენიმე კვირაში მე შევუერთდი მათ.

იქ რომ მივედი, მან მითხრა, ძალიან გვიხარია, რომ ჩვენთან ხარო. ამაზე ვუპასუხე, მე კი არ ვარ შენთან, შენ ხარ ჩემთან-თქო. ეს ძალიან ეწყინა და ველარ მიტანს.

***– ძალიან უხეშად მოგსვლიათ და რა გასაკვირია, რომ ვერ გიტანთ?***

– რას ნიშნავს უხეშად? სიმართლე ვუთხარი. მე არავისთან მივსულვარ, რადგანაც 2004 წლიდან ნაციონალების ოპოზიციაში ვიყავი, მაგ დროს კალაძე და ივანიშვილი სააკაშვილთან იყვნენ. აქედან გამომდინარე, მე კი არ მივედი მათთან, არამედ ისინი მოვიდნენ ჩემთან.

ადრე თუ გვიან, ოპოზიცია ხელისუფლებაში მოდის და მან არასდროს არ უნდა გააკეთოს ის, რასაც მის წინააღმდეგ აკეთებდა ხელისუფლება.

ჩვენ პატარა ერი ვართ და შეგვიძლია, ერთმანეთში მოვილაპარაკოთ. ისევე, როგორც ეს 9 ივლისს მოხდა. ძალიან გამიხარდა როცა ანტისაოკუპაციო და კონტრაქციის წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს.

გურამ ფალავანდიშვილმა ძალიან კარგი რამე გააკეთა და ქუჩაში როცა შემხვდება, ხელს ჩამოვართმევ. ამ ადამიანმა განაცხადა, რომ მას არანაირი მორალური უფლება არა აქვს, დაუპირისპირდეს ანტისაოკუპაციო აქციას.

ნახეთ, რა ხდება, განსხვავებულ პოზიციაზე მყოფი მოქალაქეები უკვე ვახერხებთ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას. ამ მხრივ ხელისუფლება ძალიან ჩამოგვრჩება. სადაც ხელისუფლება ჩაერია, იქ არის უხეშობა, ძალადობა, დაბრმავება.

საქართველოს პარლამენტის წევრი რომ ვყოფილიყავი, 20 ივნისს ხალხთან ერთად დავდგებოდი ქუჩაში და ვიყვირებდი, რომ პუტინი არის ოკუპანტი და საქართველოს მტერი.

ასეთ შემთხვევაში პოლიციის გამოყვანა აღარ იქნებოდა საჭირო. ასეთ დროს პოლიციაც და სპეცრაზმიც მომიტინგეების მხარეს უნდა იყოს. ხალხის მხარეს უნდა ყოფილიყო ივანიშვილიც.

ახლა ამ ადამიანმა რაც არ უნდა კარგი გააკეთოს, ამას აღარავინ დაინახავს. ხალხს აღარც ის ემახსოვრება, აქამდე რაც კარგი გაუკეთებია. სამაგიეროდ, მათ გონებაში დარჩება 20 ივნისის სისხლიანი ღამე.

***– ასე სააკაშვილის ანგარიშზეც რამდენიმე სისხლიანი ღამეა.***

– არც ეგ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მან ამ დარბევების გამო პასუხი აგო.

***– რანაირად აგო პასუხი?***

– 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ ის გადადგა. რაც შეეხება 26 მაისს, ეს გახდა მისი პოლიტიკური დასასრულის დასაწყისი. სისხლიან ღამეებზე მან საფასური გადაიხადა. ივანიშვილს ამ საფასურის გადახდა არ სურს. ცოცხალი თავით არ ახსენებს 20 ივნისს, არადა ჯობია, რომ ახსენოს.

***– თქვენ თქვით, დეპუტატი რომ ვყოფილიყავი, ხალხთან ერთად დავდგებოდიო. ახლანდელმა დეპუტატებმა ხალხთან დადგომა არ იკადრეს, სამაგიეროდ, პუტინის დასაცავად და მისთვის მადლიერების გამოსახატავად დააყენეს რიგები. ამაზე რას იტყვით?***

– კარგს არაფერს. პუტინი რომ ოკუპანტია და მტერი, ეს ახლა გავიგეთ? ოკუპირებული



**„საქართველოს მთავრობა არის კოლაბორაციონისტი, კოლაბორაციონისტებს ბევრ ქვეყანაში ხვრეტდნენ და ხვრეტენ“**

რეგიონები დაავიწყდათ და იმას გაიძახიან, გიორგი გაბუნიამ პუტინის მშობლების საფლავებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენაო.

ეს არც მე მომეწონა, მაგრამ გაბუნიას დამგმობებს ვეკითხები, სოხუმში ქართველების განდევნის შემდეგ ქართველების საფლავები რომ წაბილწეს, ამაზე ხმა რატომ არ ამოიღო არც ერთმა.

***– ქართველების საფლავები ცხინვალშიც წაბილწეს და არც ეს ახსოვს ვინმეს.***

– არ ახსოვთ, სამაგიეროდ, ნერვიულობენ ნათქვამზე. ენაზე კბილის დაჭერაც უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ თქმასა და ჩადენას შორის დიდი განსხვავებაა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება დადგა და რუსეთის მაამებლური განცხადებები გააკეთა. ეს არის კოლაბორაციონიზმის გამოვლინება. პოლიტიკურ ლექსიკონში ჩაიხედოს ყველამ და ნახავენ, რას ნიშნავს ეს. მე არ მინდა, ეს სიტყვა ვიხმარო.

საქართველოს კონსტიტუციით ჩვენთან სიკვდილით დასჯა არის აკრძალული, მაგრამ ძალიან ბევრ სახელმწიფოში კოლაბორაციონიზმის გამო ადამიანებს ხვრეტდნენ და ხვრეტენ. ქვეყნის გამყიდველებს, როგორც წესი, სიკვდილით სჯიან.

სალომე ზურაბიშვილი თავს იმით იწონებს, რომ ევროპაშია გაზრდილი. ევროპაში გაზრდილი თუ არის, მაშინ იმდენი ჭკუა უნდა ეყოს, რომ ღიად არ აქოს რუსეთის პრეზიდენტი.

საბედნიეროდ, საქართველოს ძალიან ბევრი მოქალაქე ამ ადამიანს თავის პრეზიდენტად არ თვლის. ჩვენ არაფერში არ გვჭირდება არც კოლაბორაციონისტი პრეზიდენტი და არც მთავრობა.

ყველა გამოსვლასა თუ მიტინგზე უნდა ვთქვათ, რომ რუსეთთან მოთანამშრომლე ხელისუფლება უნდა წავიდეს. ქვეყნის სათავეში ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლებაა საჭირო.

აქედანვე უნდა შევთანხმდეთ რაღაცებზე, მაგალითად იმაზე, რომ საქართველოს ექნება ერთი დროშა, ერთი გერბი და ერთი ჰიმნი და ჩვენი სუვერენიტეტი არასდროს გადაიხედება.

დანარჩენ საკითხებზე შეგვიძლია ვიდავოთ.

დამიჯერეთ, ისეთი თაობა მოვიდა, რომელიც მოღალატე ხელისუფლებას ვერ აიტანს. აუცილებლად შეიცვლება ის მთავრობა, რომელიც მტერთან შევა გარიგებაში.

ის, რაც გასული წლის 28 ოქტომბერს და 28 ნოემბერს მოხდა, აღარ განმეორდება. ივანიშვილმა 20 ივნისს ყველა არჩევნები წინასწარ წააგო. ის საბოლოოდ ჩამოიშალა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ჩამოიშალა? მას ძალიან ბევრი ფული აქვს და შეუძლია იგივე გააკეთოს, რაც საპრეზიდენტო არჩევნებზე გააკეთა.***

– ფული ისევ ბევრი აქვს, მაგრამ აღარ აქვს ლეგიტიმაცია. ის აღარ არის ისეთი, რითაც თავს იწონებდა. აქამდე სულ ნაციონალებზე იძახდა, სისხლიანები არიანო, ახლა თავად გახდა სისხლიანი.

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამ კაცს ამის გაკეთება შეუძლია. დღეს მათემატიკური სიზუსტით შემიძლია გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის რუსული პროექტი.

***– ნაციონალები წლების წინ ამტკიცებდნენ, რომ ეს კაცი რუსული პროექტი იყო, მაშინ რატომ გჯეროდათ მისი სიმართლის და სისპეტაკის?***

– ალბათ მინდოდა, რომ ივანიშვილი ასეთი ყოფილიყო, მაშინ ვერავინ დამაჯერებდა, რომ ეს ადამიანი აქციის დაშლას დაუჭერდა მხარს და ამას არც მოინანიებდა.

ან იქნება არც უნდა დამეჯერებინა, რადგანაც ყველამ ვიცით, რომ ივანიშვილი ჩართული იყო 7 ნოემბრის დარბევაში. მისი ფულით შეიძინეს დასარბევად ცრემლსადენი გაზი და ტყვიები. მანვე დაურიგა დამრბევებს პრემიები.

***– როცა ივანიშვილთან ერთად „ოცნება“ დააფუძნეთ, ეს ამბავი იცოდით?***

– რა თქმა უნდა, ვიცოდი. მეტიც შემიძლია გითხრათ. 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ საქართველოში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მე გაერთიანებულ ოპოზიციაში ვიყავი. არჩევნების დღეს დამკვირვებლად ვცადე ივანიშვილის მშობლიურ სოფელ ჭორვილაში შესვლა.

იქ ჩვენ არ შეგვიშვეს და პირდაპირ გვითხრეს, რომ იმ დღეს იქ მხოლოდ 5 ნომერს შემოხაზავდა ამომრჩეველი. 5 ნომერი სააკაშვილი იყო.

***– ვინ არ შეგიშვათ ჭორვილაში?***

– კუნთმაგარმა ხალხმა.

***– ვის დაქვემდებარებაში იყო ეს ხალხი?***

– ცხადია, ივანიშვილის. მის გარდა ჭორვილას ვერავინ აკონტროლებდა. იმ დროს ივანიშვილი სააკაშვილზე არანაკლები ძალაუფლებით სარგებლობდა. 2007 წელს ჭორვილაში არჩევნები სააკაშვილმა 100%-ით მოიგო.

***– ეს ყველაფერი იცოდით და მაინც მიხვედით მასთან?***

– ამას არც ახლა ვნანობ. მიმაჩნია, რომ 2012 წელს საქართველოში ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო. ამაში ივანიშვილი თუ დაგვეხმარებოდა. მას ჰქონდა ის, რაც ოპოზიციას ასე აკლდა.

***– ფულზე საუბრობთ?***

– დიახ. ფული აუცილებელია და არა იმიტომ, რომ ვილაც მოისყიდო, თუ ფული არ გაქვს, პარტია ვერ იმუშავებს. ელემენტარულად ამომრჩეველს უნდა შეხვდე და გადაადგილება გინდა.

ივანიშვილს ჰქონდა ფული და ჩვენ ერთად შევცვალეთ სააკაშვილი. მაშინ მართლა გულწრფელად მჯეროდა, რომ საქართველოს უკეთესი მომავალი ექნებოდა. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

ძალიან მალე დავინახეთ, რომ ეს კაცი ის არ იყო, ვინც გვეგონა. 20 ივნისის დარბევის შემდეგ კი შემიძლია კიდევ ერთხელ გითხრათ, რომ ის იყო რუსული პროექტი.

ახლა ეს ყველასთვის ნათელია. ხალხს სისხლიანი ნაციონალებითაც ველარ შეაშინებს, რადგანაც მან უარესი ჩაიდინა. ხალხი იმიტომ გაიმეტა ასე, რომ ისინი საქართველოს სუვერენიტეტს იცავდნენ.

ეს უკვალოდ არ ჩაივლის. ამიტომაც გეუბნებით თამამად, რომ ბიძინა ივანიშვილი გუშინდელი დღეა.

# ბათუმთან ტრაილერი მანქანას დაეჯახა და ამობრუნდა

## მძღოლი დაიღუპა



ბათუმი-ქობულეთის შემოვლით გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ტრაილერი გადაბრუნდა და მძღოლი დაიღუპა.

მაშველები და მოქალაქეები დაზიანებული სატვირთო ავტომანქანიდან მის გამოყვანას ცდილობდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ერთმანეთს ტრაილერი და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ, რის შედეგადაც ტრაილერი გზიდან გადავარდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ურეკში, ზღვაში მამაკაცი დაიხრჩო

ურეკში, ზღვაში უცხო ქვეყნის მოქალაქე დაიხრჩო.

მამაკაცი წყალში ოჯახთან ერთად იყო შესული, როდესაც ის მოულოდნელად გაუჩინარდა. მაშველებს მისმა ცოლმა გამოუძახა. წყალში მყვინთავები შევიდნენ, თუმცა მამაკაცს ვერ მიაგნეს. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

მამაკაცის ცხედარი შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში წყალმა გამორიყა.

დაწყებულია გამოძიება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# „ხაზარაძემ ჩათვალა, რომ ბიძინა დასუსტდა და ახლა ამიტომ გამოჩნდა“

ნონა ცაბაძე



## „მდიდარი კაცის შემოსვლა პოლიტიკაში ყოველთვის იწვევს პოლიტიკოსების აცუნდრუკებას“

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია 20-21 ივნისის მოვლენებზე სალაპარაკოდ ქართველ ექსპერტებს შეხვდა. შეხვედრას ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძეც ესწრებოდა, რომელიც „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ გახარია საკუთარ თავზე იღებს არა მხოლოდ თავის, არამედ სხვის პასუხისმგებლობასაც.

***– ბატონო თორნიკე, რატომ დაგრჩათ ასეთი შთაბეჭდილება? რას მალავს გახარია?***

– სანამ გახარიასთან შეხვედრა იქნებოდა, მანამდეც მოვიდა ჩემამდე ეს ინფორმაციები.

***– რა ინფორმაციები?***

– 20-21 ივნისს იქ მარტო შინაგან საქმეთა სამინისტრო არ მოქმედებდა და ყველას თავის ბრძანების გამცემი ჰყავდა. შესაბამისად, როცა ეს კაცი ჯიუტად ამბობს, რომ ყველაფერი მან გააკეთა, მე ეჭვი მრჩება, რომ სხვისასაც თავის თავზე იღებს. უფრო მეტს იღებს, ვიდრე პასუხისმგებლობით მას ეკუთვნის, რომ აიღოს.

***– სხვაც ჩაერია და მხოლოდ მისი ბრძანება არ იყო?***

– დიახ, მე ასეთი ეჭვი მაქვს. მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, ბევრი წყარო მიდასტურებს, რომ ეს მხოლოდ მისი შემოქმედება არ ყოფილა და, რომ იქ სხვებიც იყვნენ.

***– გახარიას ხელწერა არ არის ასეთი სასტიკი?***

– არ ვიცი, გახარიას ხელწერა რა არის, მე მეუბნებიან, რომ ეს არ იყო მხოლოდ მისი შემოქმედება. ამაზე მეტს ვერ გეტყვით, როგორც არ უნდა შემომიბრუნოთ კითხვები. მეტის თქმა არ შემიძლია.

***– ანუ თქვენ გაქვთ თქვენი პირადი ინფორმაციაც, რომელსაც საჯაროდ ვერ იტყვით?***

– დიახ, ნამდვილად ასეა.

***– კიდევ რაზე ისაუბრეთ ამ შეხვედრაზე, რა გითხრათ შს მინისტრმა?***

– მაგალითად, გვითხრა, რომ

## თორნიკე შარაშენიძე: „გახარია სხვების პასუხისმგებლობასაც საკუთარ თავზე იღებს“

ვასაძე ნამდვილად არ არის მის მიერ კონტროლირებადი. საერთოდ არც ესმის, რა უნდა ვასაძეს.

***– რომც იყოს, ამას თქვენ ხომ არ გეტყოდათ?***

– მე მჯერა, რომ ასეა. ჩემი პირადი აზრი ასეთია, რომ ვასაძეს თვითონ მამაზეციერიც ვერ აკონტროლებს. ეს კაცი საერთოდ კონტროლიდანაა გამოსული. ბიძინა და გახარია კი არა, ხომ გეუბნებით, მამაზეციერიც ვერ აკონტროლებს.

***– სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. იყო საფრთხე სამოქალაქო დაპირისპირების. ამ ყველაფერზე რას ამბობს შს მინისტრი?***

– განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, დაგვეთანხმა, რომ საკმაოდ მძიმე სიტუაციაში ვართ. ეს იყო და ეს.

***– რას ამბობს, არ გადადგება?***

– ფაქტია, რომ წასვლას არ აპირებს. ამბობს, რომ ყველა ბრალდებას გასცემს პასუხს დასაბუთებულად. ეს კაცი ამბობს, რომ თავის სიმართლეს დაამტკიცებს.

***– და როდის?***

– გარკვეული დროის შემდეგო, საკმაოდ მალეო. რის გაკეთებას ან რის თქმას აპირებს კონკრეტულად, ამას ვნახავთ. დამიჯერეთ, არაფერი ისეთი შიგნით არ თქმულა. დღეს სოციალურ ქსელში ვაწყდებოდი რაღაც თეორიებს, რომ აი, ჩვენ, რაღაცები მოვილაპარაკეთ, რაღაცები ვურჩიეთ და ასე შემდეგ. ეს სისულელეა. არაფერი განსაკუთრებული არ თქმულა.

***– 20-21 ივნისის ღამეს მარტო შსს არ ყოფილა რუსთაველზე, იქ იყო სუსი, იქ იყო სახელმწიფო დაცვა, ჩუბინიძე ჩანდა კადრში და ყველას პასუხისმგებლობას გახარია საკუთარ თავზე იღებს?***

– იმ მოვლენებიდან გავიდა 3 კვირა. არავინ შეხვედრია არც ჟურნალისტებს, არც ექსპერტებს. ხანდახან პრემიერ-მინისტრი გამოჩნდება ხოლმე, ბრიფინგს გამართავს 5-10 წუთი. ბიძინა, გასაგებია, რომ ისვენებს ზღვაზე. ყველანი ჩუმად არიან, არავინ ხმას არ იღებს.

ეს სიტუაცია არაა ნორმალური. მე მგონი, ყველა შეთანხმდა იმაზე, ოპოზიციაც და მთავრობაც, რომ მთლიანად გახარიაზე უნდა გადატყდეს ჯოხი. მან აიღო პასუხისმგებლობა, რომ მთელი დარტყმა მიიღოს თვითონ.

გადასარევი ამბავია, ყველა ბედნიერია ამით. ოპოზიცია ბედნიერია, უნდათ, რომ მოაშორონ გახარია, რადგან ამ მთავრობის ფონზე შედარებით ნორმალური მინისტრია. გახარიაც 20 ივნისის სიმბოლოდ იქცა, რატომღაც მან ყველაფერი აიღო თავის თავზე, რატომ, არ ვიცი და ლამის მთელი ერი შეთანხმებულია, რომ გახარია უნდა წავიდეს. ეს კიდევ არ მიდის.

აი, ასეთი სიტუაცია გვაქვს. მთავრობაც ბედნიერია.

***– რითია ბედნიერი, გახარია რომ იღებს დარტყმებს?***

– დიახ, სწორედ ამით, რადგან გახარია შიგნით მთავრობაშიც ბევრს არ უყვარს, არც პარტია „ქართულ ოცნებაში“ არ უყვართ. რატომ იღებს მთლიანად მთელ დარტყმებს თავის თავზე, ეს არ ვიცი.

საკმაოდ სხარტი გონების კაცია გახარია და ამას ყველა მშვენივრად ხედავს. არის გარკვეული საკითხები, რომელთაც ამ ეტაპზე გახარია მალავს, თუმცა, რაღაც დროის შემდეგ ამაზე აუცილებლად ისაუბრებს. ჯერჯერობით გაუჭირდება ამაზე საუბარი, რადგან ფონი არის ძალიან მძიმე თვითონ გახარიასთვის და მე არ ვიცი, როგორ აპირებს, საბოლოო ჯამში, ეს ფონი გაანეიტრალონ, ძალიან რთული იქნება.

„ოცნებაში“ არ დარჩა ერთი ნორმალური სპიკერი, ვისაც ხალხი ყურს დაუგდებს და ვისაც ხალხი დაუჯერებს. ავტორიტეტული მათ არავინ დარჩათ. ამიტომ ამ წაგებული საინფორმაციო ომის შემოტრიალება ძალიან გაუჭირდებათ.

***– ამ ფონზე ხაზარაძე აცხადებს, რომ ახალ პოლიტიკურ მოძრაობას დააფუძნებს სექტემბერში. მის გვერდით მოიაზრება კვირიკაშვილიც. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– ფაქტია, რომ სწორედ ის იდგა კვირიკაშვილის უკან. სრულიად ლოგიკურია, რომ კვირიკაშვილი მის გუნდში მოიაზრებოდეს. ის ფაქტი, რომ სწორედ ახლა გამოჩნდნენ, მოასწავებს იმას, რომ ხაზარაძემ და კვირიკაშვილმა ჩათვალეს, რომ ბიძინა ახლა საკმაოდ დასუსტებულია ამ მოვლენების ფონზე და ბიძინას შურისძიების აღარ ეშინიათ.

***– იმაზეც საუბრობენ, რომ ამ პროცესების უკან მთლიანად ხაზარაძე დგას. ამაზე რას იტყვით?***

– კიდევ ვინ შეიძლება იდგეს? თქვენ რამე სხვა ინფორმაცია გაქვთ?!

***– რამდენად ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად შეიძლება მოგვევლინოს?***

– ასე მარტივი არ იქნება. გასაგებია, რომ წარმატებული ბანკირია, წარმატებული ადამიანია.

***– თუმცა ეს არ ნიშნავს, იყო წარმატებული პოლიტიკოსი.***

– ეს ერთი, ნამდვილად ასეა. მეორეც, ამ ქვეყანაში ბანკირები როგორ უყვართ, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. შესაბამისად, არ იქნება ესე მარტივი. თუმცა ზოგიერთ პოლიტიკოსს გაუხარდა. გუშინ რამდენიმე გახარებული პოლიტიკოსი დავინახე.

***– რა უხარიათ?***

– ის, რომ ფულიანი კაცი მოვიდა და არსებობს საშუალება, რომ ეს ფული ვიღაც-ვიღაც პოლიტიკოსების ხელში აღმოჩნდეს.

ბიძინასგანაც ძალიან ბევრმა აიღო ფული, ყველამ, ვინც „ოცნებაში“ იყო. რატომმაც არ უნდა აიღონ ახლა ხაზარაძისგან?! ასე რომ, მდიდარი კაცის შემოსვლა პოლიტიკაში ყოველთვის იწვევს პოლიტიკოსების აცუნდრუკებას.

***– ხშირად გვესმის განცხადებები, რომ აღარ გვინდა არც ნაცები, არც ქოცები. რამდენად სერიოზულ კონკურენციას გაუწევს ამ ძალებს ხაზარაძის პოლიტიკური მოძრაობა?***

– გააჩნია, ვის ვიხილავთ მის გვერდით. კვირიკაშვილი. შეეცდება, რომ ახალი სახეები წაიყვანონ.

***– კვირიკაშვილსაც ხომ საკუთარი გუნდი ჰყავს პარლამენტში.***

– დიახ, ნამდვილად ასეა. კვირიკაშვილს პარლამენტში ჰყავს თავისი გუნდი.

***– სწორედ ამიტომ არის ეჭვები, რომ სწორედ გუნდმა შიგნიდან გაუჩალიჩა ბიძინას ეს ყველაფერი.***

– გავრილოვი ჩვეულებრივი სიდებილის შედეგი იყო და არა – პროვოკაციის, მერე რაც მოხდა, ყველამ ვნახეთ.

***– ხაზარაძის სახით გამოჩნდება მესამე ძალა?***

– შევხედოთ, ხაზარაძეს რეალური მიზანი რა აქვს. ეს ჯერ არ ვიცით, ის მართლა აპირებს დიდ პოლიტიკურ თამაშს, თუ უბრალოდ უნდა, რომ გამოივაჭროს რაღაც.

ფული რომ აქვს, ზოგადად ეს უკვე ბევრს ნიშნავს ქართულ პოლიტიკაში.

# „პუტინის პირობებში საქართველოს დეოკუპაცია შეუძლებელია“

ნათია ხურცილავა

## დავით დარჩიაშვილი: „ისტორიულ დისპუტებში შესვლა გონივრული არ იქნება“

„ევროპული საქართველოს“ წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, როდესაც უსმენდით რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, რომელიც საქართველოს ისტორიას აყალბებდა, რა რეაქცია გქონდათ?***

– სიმართლე გითხრათ, ეს სრულიად მოსალოდნელი იყო პუტინისგან, ის ეყრდნობა კრემლის ისტორიკოსებს ან საერთოდ რად უნდა ვინმეს დაეყრდნოს. მას საქართველოს ისტორია არაერთხელ გაუყალბებია.

ამ განცხადებით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი, თუ რა მტრული ქვეყანაა რუსეთი საქართველოს მიმართ და როგორ მტრულად არის განწყობილი მისი პრეზიდენტი ჩვენი სახელმწიფოს მიმართ. მას აღიზიანებს, აგონიაში აგდებს საქართველო, როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო.

***– ემბარგო არ დაგვიწესეს, რადგან პატივს სცემს ქართველ ხალხს. ეს რა მანევრი იყო თქვენთვის?***

– ეს იყო პირდაპირ მათხოვრებისთვის გაკეთებული განცხადება. თითქოს ის არის მწყალობელი, ნახეთ როგორი კეთილშობილი ვარ?! მიუხედავად ყველაფრისა, როგორ გულმოწყალებას ვიჩენ! ეს იყო და სხვა არაფერი, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ჩვენთან ვიღაცებმა მართლაც დაიჯერეს პუტინის წყალობის. ეს არათუ უბედურებაა, საშიშიც კი არის.



**ოგორ შეიძლება, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20% ოკუპირებული იყოს მის მიერ, ადამიანები ასე იტანჯებოდნენ ამ ოკუპაციის გამო და მის მოწყალებაზე იყოს საუბარი?! ეს ხომ სრულიად გაუგონარი რამეა.**

როგორ შეიძლება, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20% ოკუპირებული იყოს მის მიერ, ადამიანები ასე იტანჯებოდნენ ამ ოკუპაციის გამო და მის მოწყალებაზე იყოს საუბარი?! ეს ხომ სრულიად გაუგონარი რამეა.

ეს არის იმის შედეგი, როდესაც არ გაგაჩნია ეროვნულობის შეგრძნება, ეროვნული ღირსება, სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობის განცდა. პირდაპირ გეუბნებით – ეს დამღუპველია! ასე იცის, როდესაც ქუჩებში ტაბურეტით ხელში დარბიხარ და სახელმწიფოს შეურაცხყოფ.

როდესაც ბორჯომი და ღვინო, იაფი ფრენები უფრო წინ დგას, ვიდრე სახელმწიფოს სუვერენიტეტი, მაშინ ყველაფერი გასაგებია.

***– პუტინს საქართველოს პრემიერმა, პრეზიდენტმა უნდა გასცენ პასუხი, უნდა უთხრან, რომ მან გააყალბა ჩვენი ისტორია?***

– მე არ მგონია, რომ ახლა გონივრული იყოს ისტორიულ დისპუტებში შესვლა, რადგან ამას აზრი არ აქვს. მე ვფიქრობ, ერთგვარი დიპლომატიური ნოტა ურიგო არ იქნებოდა ამ ყველაფრის აღსანიშნავად, რომ რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაარღვია საერთაშორისო სამართალი.

თუმცა, აქვე უნდა ხაზგასმით ვთქვა, რომ აუცილებელია, ისტორიკოსებმა სათანადო პასუხი გასცენ ამ ყველაფერს. მე ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი მაინც საერთაშორისო სამართალია და არა – პუტინის სამართალი.

***– საერთაშორისო სამართალი, რომელსაც პუტინი არ ცნობს.***

– დიახ, ყველამ, მთელმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ საერთაშორისო სამართალთან ამ კაცს გაუცხოება აქვს, რომ ის არ ცნობს როგორც ასეთს, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს.

დიახ, ჩვენი მოკავშირე ამ შემთხვევაში ჩვენი დასავლელი პარტნიორები და საერთაშორისო სამართალია. არ მგონია, რომ ახლა გონივრული იყოს 1774 წლის პერიპეტიებითა და დოკუმენტებით ვესაუბროთ პუტინს.

***– სანამ პუტინია რუსეთის პრეზიდენტი და ის პოლიტიკური ელიტა, მანამდე დეოკუპაციაზე საუბარი ზედმეტია?***

– დიახ, სამწუხაროდ, ეს არის რეალობა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ პუტინის პირობებში ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია არის შესაძლებელი, მაშინ არ ვიცი, რა გითხრათ! ასე ცდილობენ საკუთარი მოსახლეობის მოტყუებას, რომ თვითონ თბილ სკამებზე დასხდნენ და ეს სკამები შეინარჩუნონ.

***– „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას წინა ხელისუფლებისგან განსხვავებული პოლიტიკა ჰქონდა რუსეთთან.***

– თითქოს რუსეთთან დაყვავებისა და მშვიდობის პოლიტიკა, სინამდვილეში იყო საკუთარი სკამების უფრო კარგად მორგების პოლიტიკა. რუსეთისგან რაიმე სერიოზულის მოლოდინი ამ რეალობაში შეიძლება ვინმეს ჰქონდეს?!

***– ამ პირობებში როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა?***

– ივანიშვილი ამბობდა, რომ საქართველო პატარა სოფელია და საერთაშორისო ურთიერთობებში ის არ უნდა იყოს რაიმე სახის ამინდის შემქმნელი.

***– საერთაშორისო არენაზე ჩვენი გააქტიურება არის ერთადერთი გზა?***

– ამ ხელისუფლებას ამის ენერგია და ნება არ აქვს. ვინ უნდა იყოს მთავარი წარმმართველი ძალა საერთაშორისო არენაზე, ბახტაძე?! რომლის უკანაც ივანიშვილი დგას?!

რთულად წარმოსადგენია, ამ ხელისუფლების პირობებში ეს არ მოხდება.

# მირიან მირიანაშვილი: „რუსული გეგმის თანახმად, საქართველოს პოლიტიკა მრავალოლიგარქიული უნდა გახდეს“

**რუსეთის პრეზიდენტის განცხადებამ საქართველოს მიმართ ახალი სანქციების მიზანშეუწონლობის შესახებ, საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ცოტა ხნის წინ, თავად პუტინის ინიციატივით შემოიღეს ტურისტული და სატრანსპორტო ემბარგო საქართველოს წინააღმდეგ. რა იმალება პუტინის გადასხვაფერებაში? რა კავშირი აქვს რუსეთს გარშემო აგორებულ სკანდალთან? რატომ მოდის პოლიტიკაში მამუკა ხაზარაძე? ამის შესახებ „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.**

მარიამ მჭედლიშვილი



**მირიან მირიანაშვილი:**

– რუსეთის პრეზიდენტი ირგებს ახალ იმიჯს და კეთილი პოლიციელის როლს. ეს ხდება რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ დაუნდობელი, უხეში და მზაკვრული მოქმედებების ფონზე.

პუტინი არ გაკეთილშობილებულა. ეს არის რეგიონში ძალთა ფიქსაციის მცდელობა და არა ჩვენი შეყვარება. რუსეთი საქართველოს ყოველთვის სასტიკად ექცეოდა. ამ მხრივ გამოირჩევა 2006 წელი. მაშინ მოხდა ქართველების დეპორტაცია რუსეთიდან. ადამიანებს ნივთებივით ყრიდნენ სატვირთო ტრანსპორტში და ისე აძევებდნენ რუსეთიდან. იმ წელს რუსეთმა ფართო ემბარგოც გამოგვიცხადა. პუტინმა ეს რისკისა და დანაკარგის გარეშე მოახერხა. ამას არ მოჰყოლია საერთაშორისო გამოხმაურება. იმდროინდელ მოვლენებს წინ უძღოდა რუსეთიდან მართული ქართველი პოლიტიკოსების მწვავე და შეურაცხმყოფელი რიტორიკა რუსეთის მიმართ.

***– ახლანდელ პროცესებზე რისი თქმა შეიძლება?***

– აქაური დაგეგმილი დრამატიზმი პუტინის ბოლო შემრიგებლურ განცხადებასაც უძღოდა. არ ვგულისხმობ გავრილოვის სკანდალის შემდეგ ქუჩაში გამოსულ გულწრფელ მოქალაქეებს.

***– ყველაზე დრამატულად რუსთავი 2-ის წამყვანის, გიორგი გაბუნიას მხრიდან პუტინის გინება აღიქმება?***

– ბუნებრივია. პუტინს სჭირდებოდა თბილი, შემრიგებლური განცხადების გაკეთება, დიდსულოვანი მმართველის როლის გათამაშება. ეს წინაპირობების გარეშე ვერ მოხდებოდა.

***– ერთ ამოცანად პუტინის განცხადებისთვის წინაპირობის შექმნა დაასახელეთ. კიდევ რა ამოცანები იდგა?***

– რუსეთს სხვა გეგმებიც აქვს. 8 ივლისს ლგბტ-პრაიდის ხალხი და მათი მოწინააღმდეგეები ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდნენ. გაბუნიას გამოსვლის შემდეგ მუხტი უნდა აწეულიყო.

ეს მოხდა კიდეც. აღშფოთებული ხალხი მარტო ტელევიზიასთან კი არა, რუსთაველზეც მივიდა. სამწუხაროდ, ჩვენი გამობრძმედილი საზოგადოება ვერა და ვერ მიეჩვია მოსკოვიდან მართული სპექტაკლების ამოცნობას. რუსეთის მიზანია, გადააქციოს საქართველო ლგბტ-საზოგადოებისა და მათი მოწინააღმდეგეების მუდმივი კონფლიქტის კერად.

ეს გრძელვადიანი ამოცანაა. ამ გზით უნდა მოხდეს დასავლეთის დისკრედიტაცია, ასევე იმ ინსტიტუციებისათვის სახელის გატეხვა, რომლებმაც შეიძლება დასავლეთთან ითანამშრომლონ.

მაგალითად, სამიზნეა ჩვენი ეკლესია. რუსეთის სქემით, „იდენტობა“, „პრაიდი“ და ლგბტ-საკითხებზე მომუშავე ყველა ორგანიზაცია ერთიანდება. ჩაფიქრებულია მათი უფლებების დამცველი პარტიის შექმნა. აქტიურდებიან მათი მოწინააღმდეგეებიც.

***– რუსეთს საქართველოში ლგბტ-პარტიის შექმნა უნდა?***

– ამაზე მუშაობა რამდენიმე თვის წინ, გაზაფხულზე უკვე მიდიოდა. ასევე გაზაფხულზე მსგავსი პროექტი ჩაისახა სომხეთში. სომხეთის პროცესში ჩართული არიან მოსკოველი სომხური წარმოშობის გეები. ერევანში ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება პრემიერი პაშინიანი. ამის გამო პროცესი გაჩერდა.

***– რეგიონში ლგბტ-საზოგადოებისა და მისი მოწინააღმდეგეების ბრძოლის არენა საქართველო ხდება?***

– ამოცანა ასეთია. რუსეთი ყველა ტრადიციულ კულტურაში ცდილობს საინფორმაციო შეტევებს და ტროლინგს ამ თემაზე. რუსეთი ხალხს ტვინს ულაყებს შეგონებებით, რომ დასავლეთი რყვნის, რუსეთი კი ტრადიციებს იცავს.

საქართველოს ლგბტ-პარტიაზე რუსეთში თანხმობა არ არსებობს. რუსეთის ეკლესიას და უშიშროების ფედერალურ სამსახურს პრეცედენტი აფრთხობთ. მათ, განსაკუთრებით, არ უნდათ, რომ ლგბტ-უფლებების დამცველი პარტია საქართველოს პარლამენტში მოხვდეს. რუსეთშიც არიან ამგვარი პარტიის ჩამოყალიბებისა და პარლამენტში მოხვედრის მოსურნეები, მაგრამ მათ ამის უფლებას არ აძლევენ.

პუტინის მრჩეველი სურკოვი და ფსბ ამ საკითხში ვერ თანხმდებიან. სურკოვს უნდა, რომ ეს პარტია საქართველოს პარლამენტში იყოს. სხვათა შორის, ლგბტ-პარტიის ლიდერად მოიაზრება გიორგი გაბუნია. მისი გაპიარება რუსეთის პოლიტტექნოლოგებს ჩინებულად გამოუვიდათ.

***– გამოდის, რომ მისი სკანდალური ფრაზების ერთ-ერთი მიზანი ესეც იყო?***

– რასაკვირველია. გაბუნიას დიდი რეკლამა გაუწიეს. მასზე პირადად პუტინმა ისაუბრა. ლგბტ-თემის აქტუალიზაციას საქართველოში რუსეთი დაახლოებით 8 თვეა ეწევა: იყო ლგბტ-პრაიდის კვირეულის დაანონსება, საორგანიზაციო სამუშაო და ა. შ. იმავდროულად ირაზმებოდნენ პრაიდის მოწინააღმდეგეები თავისი მუქარებითა და კომბლებით.

***– ამ არეული მოვლენების ფონზე ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ ქმნის საზოგადოებრივ მოძრაობას. დიდი ალბათობით, ის პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნება. რამდენიმე თვის წინ აცხადებდით, რომ ხაზარაძეს პოლიტიკაში მოსასვლელად დასავლეთის მხარდაჭერა არა აქვს.***

– მამუკა ხაზარაძეს არც ახლა აქვს დასავლეთის მხარდაჭერა. მისი პოლიტიკაში ჩართვა შეთანხმებულია ბიძინა ივანიშვილთან. სხვა მსხვილი ბიზნესმენებისგანაც მოსალოდნელია პარტიების შექმნა. რუსული გეგმის თანახმად, საქართველოს პოლიტიკა მრავალოლიგარქიული უნდა გახდეს. ასეთი მოდელი უკრაინაში მოქმედებს.

***– ამ უკრაინულ მოდელს არადემოკრატიულს უწოდებენ.***

– ოლიგარქების პოლიტიკური სისტემა დემოკრატიული ვერ იქნება. თუ რუსეთს თავი არ დავაღწიეთ, ფეოდალიზაცია გვემუქრება. ადრე პარლამენტში ბიზნესმენები მაჟორიტარებად მოდიოდნენ. მაჟორიტარული სისტემა რომ გაუქმდება, მსხვილი ბიზნესმენები პარტიებს შექმნიან.

***– ბიძინა ივანიშვილის როლი როგორია ამაში?***

– ბიძინა ივანიშვილი სხვებს კურატორობას არ გაუწევს. ის იქნება თავისი (პოლიტიკური და არაპოლიტიკური) სივრცის კურატორი.

***– ნულოვანი ბარიერი ახალ პოლიტიკურ ოლიგარქიულ სისტემას არ უნდა აწყობდეს?***

– ნულოვანი ბარიერი არის შესაძლებლობა ბევრისთვის. მისი შემოღების იდეა იმიტომ წარმოიშვა, რომ ძველმა პოლიტიკურმა სისტემამ თავი ამოწურა. ასევე ყავლი გაუვიდა საარჩევნო სისტემას.

ახალი სისტემა აუცილებელია, რუსეთიდან კონტროლირებადი ოლიგარქების პარტიები კი საქართველოსთვის დამღუპველი იქნება. უკრაინა დიდი სახელმწიფოა და ამას კიდევ უძლებს, საქართველო რუსულ ფეოდალურ ოლიგარქიზაციას ვერ გადაიტანს.

# თაკო ჩარკვიანი: „ჩემი სამშობლოს გამყიდველო, ივანიშვილო, შეგაკვდები“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვიტყვი რამეს ბურჯანაძეზე... პრეზიდენტი შემიფურთხესო, ასე თქვა. რამე ზუსტად რომ არ ვიცოდე, არ ვიტყოდი. რამდენჯერ მქონია შენთან ინტერვიუ და როდისმე არასწორი ინფორმაცია გამიჟღერებია? როგორ ვიკადრებ ამას! მე ოჯახში ვარ გაზრდილი, მაგათ ყველამ ოჯახის ფასი რომ იცოდნენ, კარგი იქნებოდა. ის კი არ არის ოჯახი, ვასაძე რომ ლაპარაკობს, არა სხვა რამეა. ჩემს ოჯახში არსებობს ტრადიციებიც, შედიან სხვა ოჯახებიც, ეს არის საქართველო. ვასაძე და ბურჯანაძე არ არის საქართველო. ახლა ეროვნული კონსოლიდაციაა საჭირო, ეს უშველის ქვეყანას, სხვა არაფერი არ უშველის. მე უკვე დავიწყე ეს პროცესი.

ეს კაცი, ივანიშვილი, ეტყობა, გამოჭერილი ჰყავს პუტინს, გახარიას ვერ ხსნის და აწვალებს ქვეყანას, აწვალებს ახალგაზრდებს. წარმოგიდგენიათ, როგორ არის დაჭერილი, რომ ერთი გახარია ვერ მოუხსნია?! გახარია, რომელმაც ბავშვებს თვალები დასთხარა.

***– დღეს რასაც ვხედავთ, ბურჯანაძე თითქოს უფრო ადეკვატურია, ვიდრე ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. ასე არ არის?***

– ახლა როდესაც არჩევნები ახლოვდება, ქულების დაწერა უნდა. დივიდენდები აღარ აქვს და ამიტომ აკეთებს ამას, თორემ ესენი ერთნი არიან, სწორ ფრაზას ვინ გადმოაგდებს, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. პრორუსული ძალები არიან ყველა, ლუსტრირება უკვე მოხდა.

შაქარაშვილი მოვიდა აქციის პირველ დღეს ვითომ შეწუხებული და იმ დღეს ისევ რუსთავი 2-თან იყო. განვაცხადე, რომ დიდი ნაწილი იქ ფოფხაძის დირექტივით იყვნენ მისულები. არ ვიცი, ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ რამდენიმე ჯგუფი იყო ასეთი.

არ მესმის, რატომ ეშინიათ კოალიციური მთავრობის, იქ ვერავინ ვერ მოვა ისეთი, რომ ვინმემ მონოპოლია აიღოს. არ დავუშვებთ ამას. რა თქმა უნდა „ნაციონალებიც“ შევლენ, მოსწონს თუ არა ვიღაცას, თავისი ლეგიტიმური ამომრჩეველი ჰყავს.

***– გვესმის, რომ ეკონომიკური სანქციების საკითხი მნიშვნელოვანია, მაგრამ იმ ფონზე, როცა ისტორიას გვიმახინჯებენ და ტერიტორიულ სუვერენიტეტს ეხებიან, მაშინ სანქციები რეალურად ხომ მეორეხარისხოვანი ხდება და უნდა ჰქონდეს თუ არა ნორმალურ ხელისუფლებას უმძაფრესი რეაქცია?***

– რა თქმა უნდა. არსებობს ფორმები. ახლა ვიღაცა დაგეტაკებათ, მაგრამ ვიცი, რომ თქვენ, როგორც ჟურნალისტი, ამაზე არასოდეს არ წამოეგებით. მხედველობაში მაქვს ის, რომ გეტყვით, რა ვქნათ, ომი დავიწყოთო? მაგრამ ეს არის უვიცთა და გაუნათლებელთა ფრაზა. იმიტომ, რომ ამას უნდა ჩახედვა. არც მე დავბადებულვარ იურისტად, ვეკითხები იურისტებს რჩევებს, ან ვამუშავებ მათთან ერთად რაღაც საკითხებს. სახელმწიფო მართვას თავისი წესი აქვს. არსებობს საშუალებები, რაც ომის დაწყებას არ ნიშნავს, მაგრამ არის საშუალებები, რომელიც შენი სახელმწიფოს ღირსების შელახვის გამო და სუვერენიტეტის დაცვის მიზნით განცხადებების გაკეთებას ნიშნავს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ომს იწყებ. დღეს გვყავს კრეტინი ხელისუფლება.

ვინატრე ეთერში გიორგი გაბუნია, ოღონდ საფლავების ხსენების გარეშე. საფლავებამდე რაც თქვა პუტინზე, ის ვინატრე. საფლავებზე რაც თქვა, ეს უკვე საშინელება იყო და არ გვეკადრება. ვინატრე, ერთი კარგად შეუკურთხოს სრულიად ზღვარგადასულ კაცს-მეთქი.

***– ახსენეთ გიორგი გაბუნიას თემა და ახლა ხომ არ უნდა მიემართა რეაგირების გამო საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, მთელი მსოფლიო შეეძრა და არა ჟურნალისტის თუნდაც უცენზურო ფრაზის გამო?***

– რა თქმა უნდა. ახლა საქართველოს თავზე ზარები უნდა რეკდნენ. ზარები კი არა, ხომ ვხედავთ, რაც ხდება, გამოიყვანეს ვასაძე და გარყვნილებაზე ლაპარაკობს ჯვრით, რომლის ხელშიც ჯვარიც კი კომბალს დაემსგავსა. რომელ გარყვნილებაზეა ლაპარაკი?! უფრო დიდი გარყვნილება, ვიდრე ბიუჯეტიდან მოხუცების და ბავშვების ფული წაიღონ საკანონმდებლო ორგანოს ვირთხებმა და ამ ფულით სასახლეები აიშენონ, ამაზე დიდი გარყვნილება თქვენ მართლა გგონიათ, რომ არსებობს?! ეს არის პროსტიტუცია პოლიტიკაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბიუჯეტის ფული ჩვეულებრივ ენაზე რომ გადავთარგმნოთ, რა თანხებია ეს? ეს არის ბავშვების, მოხუცების, ონკოლოგიური თუ სხვა მძიმე დაავადებების დასაფინანსებელი თანხები. ეს თანხები გააქვთ და იპარავენ. ახლა მე გეკითხებით, ამაზე დიდი გარყვნილება რა არის?! ეს ადამიანები, რომლებიც „დავერბორკებული“ ჰყავს პუტინს, რომლებსაც ეშინიათ და ვერ ინძრევიან.

***– ზალკალიანი ერთ დროს ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი პროდასავლელი პოლიტიკოსის ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი იყო და არ გაგიკვირდათ ასეთი განცხადებები მისგან, როდესაც მიესალმება პუტინის გადაწყვეტილებას?***

– არა, არ გამკვირვებია. მახსოვს თვალცრემლიანი ზალკალიანი, ხომ გახსოვთ, როდესაც ხსნიდნენ „თავისუფალი დემოკრატების“ დროს. არასდროს დამავიწყდება აღელვებული, აკანკალებული, თითქოს მის ცხოვრებაში რაღაც ტრაგედიას ჰქონდა ადგილი. მაშინ ვიფიქრე, რომ მართლა საქმეს აკეთებდა და მაგიტომ ტირის და ღნავის-მეთქი.

***– ობიექტურობისთვის ვთქვათ, რომ მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის მოადგილე იყო და არავის მოუხსნია, თავისი ნებით წავიდა პოსტიდან, ისევე, როგორც ფანჯიკიძეც ალასანიას მიმართ სოლიდარობის ნიშნად გადადგა.***

– დიახ, მაგრამ მერე რომ დააბრუნეს, ხომ ვნახეთ?! ეს კაცი არავის არ აბრუნებს ასე. ამიტომ არის საშიში ოლიგარქია.

***– აყენებთ ოპოზიცია დავით ზალკალიანის პასუხისმგებლობის საკითხს?***

– რა თქმა უნდა. მაგრამ ივანიშვილის ხელში ზალკალიანიდან დაწყებული, გახარიათი დამთავრებული, ერთი და იგივეა. ამიტომ ვთქვი ერთ-ერთ ინტერვიუში, გახარია წავა, შმახარია მოვაო. ზალკალიანი წავა, მულკალიანი მოვა. სათავეშია უბედურება, რომელიც ქვეყანას გვაკარგვინებს და ამას ივანიშვილი ჰქვია. ჯაჭვის დროა, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ჯაჭვი უნდა გაკეთდეს. გაიგეთ ხალხო, პუტინი მართავს ქვეყანას, საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრა. რამდენი ხანია ვყვირი ამას, რა ვქნა მეტი. ჩემი ერთი საცოდავი თავი თუ რამეს უშველის, პრობლემა არ არის, ერთი ნაბიჯით არ დავიხევ უკან, შევაკვდები ივანიშვილს ჩემი ოჯახით. შეგაკვდები ივანიშვილო, ჩემი სამშობლოს გამყიდველო მაოხრებელო, შეგაკვდები საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

# შალვა ნათელაშვილი: „საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიხსნას აშშ-ის სამხედრო ბაზა, თუნდაც მასზე განლაგებული ბირთვული იარაღით“



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი ვლადიმერ პუტინის სახიფათო გზავნილებზე საერთაშორისო რეაგირებას ითხოვს. შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ საქართველო დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღიარებული ოკუპაციის და გენოციდის მსხვერპლ სახელმწიფოდ.

ნათელაშვილი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიად საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების განთავსებას მიიჩნევს:

– რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მთელს მსოფლიოს განუცხადა, რომ ქართული სახელმწიფო ისტორიულად არ არსებობდა. რაც ვართ ისიც ოკუპაციითა და გენოციდით სხვა ერების მიმართ და რომ მომავალშიც არ გვაქვს უფლება აღვიდგინოთ ტერიტორიული მთლიანობა და გვქონდეს სახელმწიფოებრიობის პრეტენზიები. ეს არის ყველაზე საშიში განცხადება, რაც კი ოდესმე რომელიმე ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მეთაურს გაუკეთებია, ეს ნიშნავს იმას, რომ საკმარისია რეგიონალური კრიზისი, ან გლობალური გამწვავება დედამიწაზე, ან საკმარისია ჩვენმა მოკავშირეებმა ველარ მოიცალონ ჩვენთვის, რუსეთი აგრესიულ მეზობლებთან ერთად დაგვინაწილებს და წაგვიღებს ნაწილ ნაწილ. იმისთვის, რომ ეს საფრთხე ავირიდოთ აუცილებელია ორი რამ. პირველი, მთელს მსოფლიოს ვაღიარებინოთ, რომ ვართ ისტორიული დევნისა და გენოციდის მსხვერპლი სახელმწიფო და მეორე, საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიხსნა აშშ-ს სამხედრო ბაზა თუნდაც მასზე განლაგებული ბირთვული იარაღით. სხვა შემთხვევაში ქართული სახელმწიფოს არსებობა დგას ოფიციალური საფრთხის წინაშე. პრეზიდენტ პუტინს შეიძლება ყველაფერი დავაბრალოთ, მაგრამ ის სულელი და უჭკუო პოლიტიკოსი არ არის. მან იცის სად ლაპარაკობს, რას ლაპარაკობს და როდის ლაპარაკობს. გაიხსენეთ როგორ დაიწყო საქართველოს დაშლა, როდესაც სახაროვმა განაცხადა, რომ ჩვენ ვართ მცირე იმპერია და ვჩაგრავთ პატარა ერებს. აი მაშინ დაიშალა საქართველო. პუტინის განცხადება ეს იყო სახაროვი ორი. ახალი ეტაპი საქართველოს დაშლისა, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

# აკაკი ცომაია: „ეკონომიკაში არსებული პროცესები, ინვესტიციების შემოდინებები ლარის გამყარების საფუძველს არ გვაძლევს“



— ლარის კურსის გაუფასურების ტრენდი მომავალშიც შენარჩუნდება, — ამის შესახებ ეკონომისტმა აკაკი ცომაიამ „კომერსანტთან“ განაცხადა. მისი განმარტებით, გუშინ ლარი პანიკის გამო გაუფასურდა. იყო მოლოდინი, რომ რუსეთი დააწესებდა სანქციებს. დღევანდელი გამყარება კი არის იმის შედეგი, რომ მოლოდინი არ გამართლდა და რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოსთვის სანქციების დაწესება მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

მისი განცხადებით, ლარის კურსი სადამდე წავა, ეს არავინ არ იცის.

— ადამიანების ემოციების დონეზეა ეს. ამის დათვლა კი შეუძლებელია. ის, თუ როგორი იქნება ლარის კურსის მომავალი ტრენდი, ამის შეფასება შესაძლებელია. ეკონომიკაში არსებული პროცესები, ინვესტიციების შემოდინებები ლარის გამყარების საფუძველს არ გვაძლევს. ლარი სამომავლოდ უფრო გაუფასურდება, ვიდრე გამყარდება, — აცხადებს ცომაია.

მისი თქმით, ასეთ სიტუაციაში ეროვნულ ბანკს შეუძლია მხოლოდ აჟიოტაჟის ჩაცხრობა. მარეგულირებელს შეუძლია რეზერვები გაყიდოს და შემდეგ იყიდოს. სხვა მას არაფერი შეუძლია, ეროვნული ბანკი ეკონომიკას ვერ გაზრდის. რაც შეეხება მთავრობას, ცომაია თვლის, რომ ხელისუფლებამ გადასახადები უნდა შეამციროს.

შეგახსენებთ, საქართველოს ეროვნული ბანკის დღეს დადგენილი კურსით, ხვალ ერთი აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.8542 ლარი იქნება. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 3.2027 ლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გუშინ დადგენილი კურსით, დღეს ერთი აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.9096 ლარია. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 3.2599 ლარია.

„თიბისი ბანკის“ მთავარი ეკონომისტის ოთარ ნადარაიას განცხადებით, ლარი სანქციების დაწესებამდეც გაუფასურებული იყო, ახალი შოკის შედეგად კი დოლარის კურსი შესაძლოა 3.00-3.05-მდე გაიზარდოს, რასაც შედარებითი გამყარება მოყვება.

**კომერსანტი**

# ივანიშვილის ტურიზმის განვითარების ფონდს ახალი დირექტორი ჰყავს



ტურიზმის განვითარების ფონდს ახალი დირექტორი ჰყავს.

ამ პოსტზე თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ბაიდარაშვილი დაინიშნა.

აღნიშნული ინფორმაცია ბმ.გე-ის საქართველოს თანაინვესტირების ფონდშიც დაუდასტურეს, რომლის ერთ-ერთი დანაყოფია ტურიზმის განვითარების ფონდი.

ცნობისთვის: გიორგი ბაიდარაშვილი სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის აპარატში სტრატეგიული და ორგანიზაციული მართვის საკითხებში მრჩევლად, დეველოპერულ კომპანია „არსში“ დირექტორის მოადგილედ, PSP ჯგუფში გაყიდვების და ქსელის განვითარების დირექტორად; ასევე იყო საკონსულტაციო კომპანია „სინერჯიში“ კონსულტანტი.

გიორგი ბაიდარაშვილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი იყო; მან აღნიშნული თანამდებობა მიმდინარე წლის 19 ივნისს დატოვა.

შეგახსენებთ: საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი 2014 წლის 3 ნოემბერს დაფუძნდა. კომპანიის იურიდიული მისამართი „ქართუს“ სათავო ოფისში, ჭავჭავაძის 39ა-ში მდებარეობს. მისი დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის პანამურ ოფშორში რეგისტრირებული კომპანიაFRANKSTON INTERNATIONAL-ი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.

2019 წლის პირველ კვარტალში პანამიდან განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 16.7 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ თანხის უდიდესი ნაწილი სწორედ ტურიზმის განვითარების ფონდზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელსაც $76 მლნ დოლარით, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს უმსხვილესი პანამელი ინვესტორი იყო.

BMG

# ფადი ასლი: „ქართული ბიზნესი ისე უნდა გადაეწყოს, რუსეთზე დამოკიდებულება 10%-ს არასდროს აჭარბებდეს“



— იმ შემთხვევაშიც, თუ რუსეთი საქართველოს ყველა სანქციას მოუხსნის, ბიზნესი ისე უნდა გადაეწყოს, რომ მათი დამოკიდებულება რუსულ ბაზარზე 10%-ს აღარასდროს აჭარბებდეს. ისტორია ისევ და ისევ განმეორდება, — საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ფადი ასლი რუსეთის მხრიდან დაწესებულ სანქციებზე.

**კომერსანტი**

# „გუდვილს ჯამური ვალდებულებების თითქმის 70% გასტუმრებული აქვს“



„გუდვილს ჯამური ვალდებულებების თითქმის 70% გასტუმრებული აქვს“ — ამის შესახებ გუდვილის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი ხაბაშვილმა „საქმის კურსს“ განუცხადა. მისი თქმით, რეაბილტაციის რეჟიმში შესვლის მომენტში დავალიანება 50 მილიონ ლარზე მეტი იყო, საიდანაც 30 მილიონი უკვე გადახდილია. ხაბაშვილი ამბობს, რომ კრედიტორებთან შეთანხმების საფუძველზე, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყოველწლიურად გადასახდელი 5 მილიონი ლარიდან, ნაწილი გუდვილის განვითარებას და გაფართოებას მოხმარებოდა.

— ჩვენ არ შემოვიფარგლეთ გადასახდელი თანხის მოცულობით. თუ გუდვილი მეტ მოგებას დაწერს, მეტსაც გადაიხდის, — განაცხადა ხაბაშვილმა.

**კომერსანტი**

# „დეველოპერულ სექტორში გაყიდვები მნიშვნელოვნად შემცირდება“



„საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ლარის კურსის გაუფასურების შედეგად, დეველოპერული კომპანიების ბიუჯეტების 3.0-იან ნიშნულზე დაგეგმვა სწორი არ არის. ლარის პრობლემა არის სტაბილურობა და არა რომელიღაც ნიშნული.

— ლარი ჯობს მყარად იყოს, პირობითად, 2.9-იან ნიშნულზე, ვიდრე 2.7-სა და 2.8-ს შორის მუდმივად თამაშობდეს. მნიშვნელოვანია სტაბილურობა და პროგნოზირებადობა, განსაკუთრებით დეველოპენტში, სადაც გრძელვადიანი გათვლებია და პროცესი საშუალოდ, 2-3 წლიან პერიოდს მოიცავს. ლარის 2.91-2.93-იანი კურსი, რაც გუშინ Bloomberg-ზე დაფიქსირდა, მგონია, რომ იყო პოლიტიკური პროცესებისგან გამოწვეული პანიკის შედეგი. ჩემი აზრით, ლარის ასეთი კურსი არის დროებითი. თუმცა, პროგნოზების გაკეთება რთულია. შეიძლება აიწიოს ან პირიქით, გამყარდეს. მნიშვნელოვანია როგორ განვითარდება მოვლენები, — აცხადებს აბულაძე.

კითხვაზე, ლარის კიდევ უფრო გაუფასურებისთვის სექტორი მზად არის თუ არა, აბულაძე განმარტავს, რომ უძრავი ქონების და დეველოპერული სექტორი ნებისმიერი რყევების მიმართ სენსიტიურია. შესაბამისად, სექტორს კურსის ცვალებადობა ძალიან „ურტყამს“.

— როგორც კი იქმნება არასტაბილურობის განცდა, მცირდება ტრანზაქციები. განსაკუთრებით, საზაფხულო პერიოდში, თან ასეთი რყევების ფონზე, ყველა შეეცდება სექტემბრამდე მოიცადოს. შესაბამისად, გაყიდვები შემცირდება, — აცხადებს აბულაძე.

მისივე განმარტებით, ამ პროცესების გამო მშენებლობების გაძვირება არ მოხდება, რადგან სამშენებლო სექტორში მასალების უდიდესი წილი, დაახლოებით 80%-ი ადგილობრივი წარმოებისაა, შესაბამისად, ხარჯიც ლარშია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გუშინ დადგენილი კურსით, დღეს ერთი აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.9096 ლარია. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 3.2599 ლარია.

თიბისი ბანკის“ მთავარი ეკონომისტის ოთარ ნადარაიას განცხადებით, ლარი სანქციების დაწესებამდეც გაუფასურებული იყო, ახალი შოკის შედეგად კი დოლარის კურსი შესაძლოა 3.00-3.05-მდე გაიზარდოს, რასაც შედარებითი გამყარება მოყვება.

**კომერსანტი**

# საგანგაშო სტატისტიკა — ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი ქართულ ეკონომიკაში 65%-ია



„ჩრდილოვანი ეკონომიკა“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოწვევაა. მას ასევე მოიხსენიებენ როგორც „არაფორმალურ ეკონომიკას“, „ფარულ ეკონომიკას“, „შავ ეკონომიკას“. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევების მიხედვით დგინდება, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

წლების წინ ეკონომიკის სამინისტროში არსებობდა ჩრდილოვანი ეკონომიკის სამმართველო, რომელიც უშუალოდ ამ მიმართულებით მუშაობდა, თუმცა ის გაუქმდა. მიმდინარე წელს კი სტატისტიკის ეროვნული სამსახური არაკანონიერი საქმიანობის შედეგებს გამოაქვეყნებს, მათ შორის ისეთების, როგორიცაა — პროსტიტუცია და ნარკომანია. 2019 წელს „საქსტატი“ ეროვნული ანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზე გადადის, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს ისახავს მიზნად.

„საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორის, გოგიტა თოდრაძის თქმით, ეს მონაცემები მიმდინარე წლის 15 ნოემბერს გამოქვეყნდება.

— მიმდინარე პერიოდში უკვე დავიწყეთ დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევები, ანუ ისეთი საქმიანობის კვლევები, რომელიც არის აღურიცხავი. ვგულისხმობთ ჩრდილოვანი ეკონომიკის დარგებს. მაგალითად, შეიძლება რომელიმე კონკრეტულ სექტორში უფრო მეტი იყოს წარმოებული, მაგრამ აქამდე მხოლოდ გარკვეული ნაწილის დეკლარირება ხდებოდა. ეს გამოკვლევები კი იმას ემსახურება, რომ უფრო ზუსტად შევაფასოთ ჩრდილის მოცულობა. განახლებული, გაუმჯობესებული მონაცემები კი 15 ნოემბერს გამოქვეყნებულ ეროვნულ ანგარიშებში უკვე იქნება ასახული. ამასთან, გვინდა 15 ნოემბრიდან ჩვენს ანგარიშებში ავსახოთ არაკანონიერი საქმიანობის შედეგებიც, როგორიცაა, მაგალითად, პროსტიტუცია და ნარკომანია. ამის შეფასება სხვადასხვა მეთოდით შეიძლება და მოდელის შემუშავებაზე ვმუშაობთ, — აღნიშნა თოდრაძემ.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, აღნიშნულია, რომ ბოლო ექვს წელში საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

თუ 2012 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 72% იყო, 2018 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-სთან მიმართებაში 64.9%-ია.

სპეციალისტების ნაწილი, ჩრდილოვან ეკონომიკასა და არაფორმალურ ეკონომიკას ერთმანეთისგან აცალკევებენ. თუ ჩრდილოვანი ეკონომიკა საკუთარ თავში მოიაზრებს ყველა დაურეგულირებელ, მათ შორის კანონით აკრძალულ დარგში აკუმულირებულ თანხებსა და დასაქმებულ ადამიანებს, არაფორმალური ეკონომიკა მხოლოდ აღურიცხავ საქმიანობას აფასებს.

სწორედ არაფორმალურ ეკონომიკას უკავშირებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი მათ ვებგვერდზე გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

— ჩრდილოვანი ეკონომიკის გასაზომად სხვადასხვა ორგანიზაციები განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებენ. ჩვენ ძირითადად ქვეყნის ოფიციალურ მონაცემებს ვეყრდნობით, რომელსაც სტატისტიკის სამსახური ფლობს. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 10%-ის ფარგლებშია, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ის არ მოიცავს არაფორმალური ეკონომიკის წილს. მაგალითად, ვიცით, რომ საქართველოში სოფლად საკმაოდ ბევრი ადამიანი აწარმოებს საკვებ და სხვა სახის პროდუქტს. სავალუტო ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ე.წ. სამუშაო კვლევა. კვლევის შედეგები არ ემთხვევა ჩვენს მონაცემებსა და პოზიციას. აღნიშნულ კვლევაში გაზომილია არაფორმალური ეკონომიკის წილიც, — ამბობს მერსედეს ვერა მარტინი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ტაქსის მძღოლებს დედაქალაქში აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად ლიცენზიის აღების ვალდებულება გაუჩნდათ. ამ ცვლილების შედეგად, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი შემცირდება.

ასევე, ჩრდილოვანი ეკონომიკა ნაკლებია ისეთ გარემოში, სადაც გადასახადების მოცულობა და ადმინისტრაციული პროცესები მცირე ზომისაა. ეს როგორც ბიზნესს, ისევე მოსახლეობას, არ უბიძგებს იმისკენ, რომ თავიანთი საქმიანობა ჩრდილში აწარმოონ. თუმცა, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები იდგმება. საქართველოში საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში დაახლოებით, 25%-ია, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება შესაძლებელია და ვიცით, რომ მთავრობა გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებაზე მუშაობს რაც მათ მობილიზებას ამარტივებს.

მსოფლიოში ყველაზე მცირე ზომის ჩრდილოვანი ეკონომიკა შვეიცარიას 7,2%, ამერიკის შეერთებულ შტატებსა 8,3% და ავსტრიას 8,9% აქვს.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, იქ არსებული მონაცემები საქართველოზე უკეთესია — აზერბაიჯანში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 52.19%-ია, სომხეთში 42.59%, თურქეთში 31.38%, ხოლო რუსეთში კი 39.73%.

BFM

# გიგი უგულავა: „იძიებენ მისტიკურ სახელმწიფო გადატრიალებას“

გუშინ, 10 ივლისს, გიგი უგულავამ გამოძიების შეკითხვებს მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით უპასუხა. „ევროპული საქართველოს“ წევრმა წარმოებულ გამოძიებას გამოცხადებული გაყალბებული ქრონიკა უწოდა. მისი თქმით, ამბოხების ნაწილში კითხვები არ ყოფილა, მას შეკითხვები დაუსვეს სახელმწიფო გადატრიალების საქმეზე.

უგულავას განცხადებით, ხელისუფლებას სურს, რომ პარალელი გაავლონ ვარდების რევოლუციასთან. ოპოზიციის წევრის თქმით, მას წარუდგენენ ბრალს თუ მოწმის სტატუსი ექნება, არ აქვს მნიშვნელობა, რადგან სიმართლე ვერ შეიცვლება.

– დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გამოძიება საგამოძიებო ნაწილის დონეზე საერთოდ გაუგებრობაშია. ფაქტია, პოლიტიკური ხელმძღვანელებისა და პროკურატურისა და შსს-ის ხელმძღვანელებისგან იძიებენ მისტიურ სახელმწიფო გადატრიალებას.

ჩემი პირველი კითხვა გამოძიების მიმართ იყო, სახელმწიფო გადატრიალების საქმე საერთოდ არ ახსენეს და ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, 225-ე მუხლზე იყო, როცა დავაზუსტე, ეს სხვა საქმეა, ის სხვა საქმეა, არა ერთი საქმეა, თუმცა მუხლი არ იყო მითითებული.

ხელოვნურად არის დაჩეხილი ეს საქმე იმისთვის, რომ და რაღაც გამოყონ, სადღაც მოეჭიდონ, რომ რაღაც გამოუვიდეთ, ხელებს აცეცებენ სიბნელეში, თვითონ არ იციან, რას აკეთებენ, ორკესტრირებულად აქვთ სურვილი, რომ ეს მონათლონ სახელმწიფო გადატრიალებად.

მომიწია, ისტორიული ექსკურსი ჩამეტარებინა გამოძიებისთვის. ხელისუფლების დაუოკებელი სურვილია, რომ პარალელი გაავლონ ვარდების რევოლუციასთან.

ეს გუშინდელი ზვიად ძიძიგურის განცხადებიდანაც ლიად ჩანს, იმდენ უტიფრობასთან გვაქვს საქმე, კაცი, რომელსაც ვერ აკავებდი, ისე შერბოდა პარლამენტში, დღეს ლაპარაკობს, რომ სახელმწიფო გადატრიალებაში მიუღია, თურმე, მონაწილეობა, – განაცხადა უგულავამ.

მისი თქმით, ხელისუფლებას უნდა, რომ პასუხისმგებლობა აიცილოს თავიდან და ამისთვის მზად არის, გადაწეროს ისტორია.

გიგი უგულავას განცხადებით, მთავარი შეკითხვაა, 20 ივნისის ღამეს ოპოზიციასა და მთავრობის წევრებს შორის რატომ ჩაიშალა მოლაპარაკება.

– სანამ საქართველოს სახელმწიფოს სახელით პროკურატურა და ხელისუფლება არ გასცემს კითხვაზე პასუხს, ვინ ამოთხარა თვალი მაკო გომურს, სხვა დანარჩენ ადამიანებს, ვინ მოტეხა ხელი თამარ ბალაშვილს, ვინ გამოიყენა და რატომ გამოიყენეს დათვის ტყვიები, ყველა სხვა დანარჩენი შეკითხვა არის ისრების გადატანის მცდელობა, გაყალბების მცდელობა და საზოგადოების შეურაცხყოფის მცდელობა, – განაცხადა გიგი უგულავამ.



# „სუს-ში მკითხეს, მოუცია თუ არა ჩემთვის დავალება მალხაზ მაჩალიკაშვილს გოგაშვილთან დაკავშირებით“



მალხაზ მაჩალიკაშვილის ახლობელი გიორგი ოლქიევი გუშინ, 10 ივლისს, სუს-ში გამოკითხეს.

ის გამომძიებლების შეკითხვას უწყებაში დაახლოებით 4 საათის განმავლობაში პასუხობდა.

როგორც გიორგი ოლქიევმა გამოკითხვის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, კითხვები ძირითადად ეხებოდა მალხაზ მაჩალიკაშვილის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, ასევე კითხვები შეეხო სუს-ის მიერ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერს, რომელიც სავარაუდოდ, მაჩალიკაშვილის და მისი ძმისშვილის საუბარს ასახავს.

ოლქიევი სუს-ში მოწმის სახით დაიკითხა.

– გამოკითხვის დროს, აბსოლუტურად ყველა საქმეს შეეხნენ, კერძოდ, რას ვაკეთებ მალხაზ მაჩალიკაშვილის გვერდით, საიდან გავიცანი ის და რატომ ვარ მასთან ასე დაახლოვებული. ასევე, თუ რატომ ვარ მალხაზ მაჩალიკაშვილისთვის სანდო ადამიანი.

შეეხნენ მათ შორის სოსო გოგაშვილის ამბავსაც, მოუცია თუ არა რაიმე ტიპის დავალება ჩემთვის მალხაზ მაჩალიკაშვილს სოსო გოგაშვილთან დაკავშირებით, რაზეც გარკვევით ვუპასუხე, რომ მსგავსი საუბარი ჩვენ არ გვქონია.

ჩანაწერებზეც მკითხეს, სად შედგა ეს ჩანაწერი. ისიც არ ვიცი, ან საერთოდ თუ იყო ეგ ჩანაწერი, ისიც არ ვიცი. ამის შესახებ მხოლოდ პრესიდან გავიგე. სხვა ინფორმაცია არ მაქვს ამ ეტაპზე, – განაცხადა ოლქიევმა.

მისი განმარტებით, გამოკითხვის პროცესში არანაირი ჩანაწერი არ უჩვენებიათ მისთვის.

– დასმული კითხვებიდან საეჭვოდ და სასაცილოდ ის ჩავთვალე, თურმე მალხაზ მაჩალიკაშვილი ჩემთვის ძვირ ტანსაცმელს ყიდულობს და საიდან აქვს მალხაზ მაჩალიკაშვილს ეს თანხები. მე სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, მალხაზ მაჩალიკაშვილს საიდან აქვს ეს თანხები.

ასევე მკითხეს, ხომ არ მიხდის მაჩალიკაშვილი რაიმე ანაზღაურებას. ამომწურავად ვუპასუხე, მალხაზ მაჩალიკაშვილმა რაიმე ანაზღაურება რომ შემომთავაზოს, ერთი დღით არ გავჩერდები მის გვერდით. ეს ჩემი შეურაცხყოფა იქნება.

მე შვილმოკლულ მამას ვუდგავარ გვერდში, ჩემი გულით და არანაირ თანხებთან არანაირი კავშირი არ მაქვს. არც ვიცი, რეალურად საიდან აქვს თანხა, – განაცხადა გიორგი ოლქიევმა.

ჟურნალისტებთან ისაუბრა ოლქიევის ადვოკატმა კახაბერ შინჯიაშვილმაც, რომელიც ოლქიევს თან ახლდა უწყებაში გამოკითხვაზე.

მისი ინფორმაციით, ოლქიევი გამოიკითხა სუს-ში მიმდინარე საგამოძიებო საქმეზე, რომელიც ტერორისტული აქტის მომზადების ფაქტს ეხება. ადვოკატის თქმით, აღნიშნულის თაობაზე ოლქიევმა გამოძიებას დეტალური ჩვენება მისცა.

– გიორგი ოლქიევმა დაადასტურა, რომ მას ტერორისტული აქტის მომზადებასთან დაკავშირებით არანაირი შემხებლობა არ აქვს. ასევე ამომწურავი ინფორმაცია მისცა იმაზე, თუ რა ურთიერთობა აქვს მალხაზ მაჩალიკაშვილთან, – განაცხადა კახაბერ შინჯიაშვილმა.

# მამის მკვლელობაში ბრალდებული სოსო ცერექაშვილი შეურაცხადად ცნეს



წყნეთში, 65 წლის გივი ცერექაშვილის მკვლელობაში ბრალდებული შვილი, 37 წლის სოსო ცერექაშვილი, კომპლექსური, ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ შეურაცხადად იქნა ცნობილი.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სოსო ცერექაშვილი მკვლელობის ჩადენის მომენტში შეურაცხადი იყო და მას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა. ექსპერტიზის დასკვნით, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით, სოსო ცერექაშვილს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს, უხელმძღვანელოს მას, მისცეს ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში.

აღნიშნული გარემოება ბრალის გამომრიცხავი ფაქტორი და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველია.

სოსო ცერექაშვილს ხონის ფსიქიატრიულ კლინიკაში 4-წლიანი იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა დაენიშნა.

სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, ცერექაშვილი დუმილის უფლებით სარგებლობდა.

წყნეთში, 65 წლის გივი ცერექაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ შვილს, 37 წლის სოსო ცერექაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული.

# „აფეთქებამდე 15 წუთით ადრე ბიჭები კამათობდნენ“

## ვარკეთილში ხელყუმბარის აფეთქებამ 3 ადამიანის დაჭრა გამოიწვია

გუშინ, 10 ივლისს, დილით ვარკეთილის სამხედრო დასახლებაში აფეთქება მოხდა. საცხოვრებელ კორპუსში ხელყუმბარა შეაგდეს, რის შედეგადაც 3 ადამიანი დაშავდა. ერთი მათგანი, 18 წლის კაცი ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს.

– პაციენტს აღენიშნებოდა მრავლობითი ზედაპირული ჭრილობები. დაზიანებული იყო მხოლოდ რბილი ქსოვილები. ჩვენს კლინიკაში პაციენტს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება; კონკრეტულად, დამუშავდა ჭრილობები, გაეწია ვიწრო სპეციალისტების კონსულტაციები, გამოკვლევები ჩაუტარდა და გადაყვანილია შემდგომი მკურნალობისთვის სტაციონარულ განყოფილებაში.

ზედაპირული ჭრილობები იყო მიყენებული ლითონის ნაწილაკებით, – განაცხადა ექიმმა მანანა ლობჟანიძემ.

როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, თავდაპირველად საცხოვრებელ კორპუსთან, ქუჩაში, ისმოდა კამათის ხმა, კამათიდან დაახლოებით 15 წუთის შემდეგ კი მოხდა აფეთქება.

– ქუჩიდან შემოდიოდა ბიჭების კამათის ხმა, დაახლოებით 15 წუთის შემდეგ კი აფეთქების ხმა გავიგონეთ. როდესაც გამოვიხედე, ჩოჩქოლი იყო, ბიჭები იდგნენ და დაჭრილებს ეხმარებოდნენ. 3 დაჭრილიდან 2 უგონო მდგომარეობაში იყო და შემდეგ ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, – აცხადებს თვითმხილველი ვერიკო კუპრეიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის და ძველი თბილისის სამმართველოების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული მ.ჯ., დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.



ჩადენილი დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 10 ივლისს, ბრალდებულს ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა დაშავებულებთან. მოგვიანებით კი, შურისძიების ნიადაგზე, მ.ჯ.-მ თბილისში, ვარკეთილში, ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში, ზედა სართულიდან ჩამოაგდო „რგდ“-ის სისტემის ხელყუმბარა, რომლის აფეთქების შედეგად სამმა პირმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

სამივე დაშავებული სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ახალგორის სასამართლომ თამარ მეარაყიშვილი გაამართლა



ლენინგორის (ახალგორის) რაიონულმა სასამართლომ საზოგადოებრივი აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი ყველა პუნქტში, რომელიც მას წაყენებული ჰქონდა, გაამართლა.

ამის შესახებ „ეხო კავკაზა“ წერს.

მას ბრალად ედებოდა ცილისწამება პარტია „ერთიანი ოსეთის“ მიმართ, ასევე თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის მოქალაქეობის უკანონო მიღება ყალბი დოკუმენტის საფუძველზე. სასამართლომ მოუხსნა აგრეთვე ყველა შეზღუდვა გადაადგილებაზე. როგორც ცნობილია, 2017 წლის აგვისტოდან მას არ ჰქონდა „სამხრეთ ოსეთის“ დატოვების უფლება.

მისი ადვოკატის, იკრამჟან რამატოვის, განცხადებით, სამართალმა იზეიმა. – სასამართლომ თქვა, რომ თამარ მეარაყიშვილს დანაშაული არ ჩაუდენია, – განაცხადა რამატოვმა.

# ტყიბულის მერიის თანამშრომელი დააკავეს



ტყიბულის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის თანამშრომელი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ტყიბულის მერიაში დაუდასტურეს.

არსებული ინფორმაციით, ტყიბულის მერიის თანამშრომელი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დააკავა.

# სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, თაღლითური განზრახვით, დაუკავშირდა ერთ-ერთ პირს და დაარწმუნა იგი, რომ 30.000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, შეეძლო დახმარებოდა მას ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების განულებაში.

აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვით, ბრალდებულმა, ხსენებული თანხიდან მოქალაქეს წინასწარ მოსთხოვა და გამოართვა თანხის ნაწილი, 10.000 ლარი, როდესაც მოხდა მისი დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ქუთაისში მანქანამ 51 წლის ბიზნესმენი გაიტანა

ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა ბიზნესმენი გოდერძი მამრიკიშვილი.

51 წლის კაცი მაღალი სიჩქარით მოძრავმა ავტომობილმა იმსხვერპლა.

„პრაიმტაიმის“ მიერ მოპოვებულ ვიდეოკადრებში ჩანს, რომ მსუბუქმა ავტომობილმა არასწორი მანევრი გააკეთა, რამაც მამაკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა.

შემთხვევის შედეგად აღნიშნული ავტომობილის მძღოლი მიმალული იყო, თუმცა მალევე ის სამართალდამცველებს თავად ჩაბარდა.

# ვლადიმერ ყარა-მურზა: „დღეს რუსეთში მეტი პოლიტპატიმარია, ვიდრე საბჭოთა ეპოქაში იყო“



რუსეთში შექმნილი მდგომარეობა გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. ვრცელი მოხსენება გააკეთა ცნობილმა რუსმა ტელეჟურნალისტმა, ფონდ „ღია რუსეთის“ ხელმძღვანელმა ვლადიმერ ყარა-მურზამ.

მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთში მოქალაქის პოლიტიკური ნიშნით დევნა კვლავ მიმდინარეობს.

– ავტორიტარული რეჟიმი რეპესიების გარეშე წარმოუდგენელია, – თქვა ყარა– მურზამ.

ვლადიმერ პუტინი პროფესიით ჩეკისტია. შესაბამისად, პოლიციური სისტემის შექმნა და ადამიანის დათრგუნვა მისი სპეციალობაა. ყარა-მურზამაც ამ მხრივ ფრიად საინტერესო ფაქტები მოიყვანა.

1976 წელს აკადემიკოსმა სახაროვმა თავის ნობელის ლექციაში განაცხადა, რომ სსრ კავშირში 126 სინდისის პატიმარია. დღეს, ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრის მემორიალის ცნობით, რუსეთში 297 პოლიტპატიმარია.

– მათი რაოდენობა იზრდება, – განაცხადა ყარა-მურზამ.

ჟურნალისტმა პოლიტპატიმართა შორის უკრაინელი კინორეჟისორი სენცოვი დაასახელა. ის ყირიმის მაცხოვრებელია, რომელიც რუსეთმა უკანონოდ მიიტაცა. სენცოვი ციხეში ზის მხოლოდ იმიტომ, რომ ყირიმის ანექსიას აპროტესტებდა.

– მას ყალბი ბრალდება წაუყენეს. ტერორიზმი დააბრალეს და გისოსებს მიღმა მოათავსეს, – ამბობს ყარა-მურზა.

ასევე პოლიტპატიმარია ანასტასია შევჩენკო, მარტოხელა დედა დონის როსტოვიდან. ის პუტინის ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდა. უკვე მე-16 წელია, ციხეში ზის ალექსეი პრიჩუტინი და ა.შ.

ყარა-მურზამ განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა რუსეთის მიმართ კონკრეტული სტრატეგია უნდა იქნას გამომუშავებული და სამხედრო-ეკონომიკური პოლიტიკური ზეწოლა განხორციელდეს. სამწუხაროდ, დასავლეთი ამ მხრივ ფეხს ითრევს. მეტიც, ევროპის ზოგიერთი ლიდერი პუტინთან აშკარად ფლირტაობს. იტალიის პრეზიდენტი იქამდეც კი მივიდა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება მოითხოვა. რუსეთი ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში დააბრუნეს, რაც ასევე ნონსენსია.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ იტალიას არა ეროვნული, არამედ კოლაბორაციონისტული რეჟიმი მართავს, რომელიც რუსეთის ინტერესებს იცავს, – თქვა ყარა-მურზამ.

დასავლეთის არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად დონბასში ომი გრძელდება, ყირიმში კი რუსეთის დროშა ფრიალებს. სირიაში ისევ ილვრება სისხლი, ევროპაში კი ანტიდემოკრატიული, პოპულისტური ძალები ძლიერდებიან.

პუტინს მისცეს საშუალება, ეს გაეკეთებინა, თუმცა ყველაფერს აქვს ზღვარი. უსასრულოდ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

# შემოდგომაზე ტრამპი და ზელენსკი ერთმანეთს შეხვდებიან



შედგა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი უკრაინელი კოლეგის ვლადიმერ ზელენსკის სატელეფონო საუბარი. ამის თაობაზე აშშ-ის ელჩი უკრაინაში ვალერი ჩალიი იტყობინება.

– ტრამპსა და ზელენსკის შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, – განაცხადა ჩალიიმ.

ელჩმა თქვა, რომ უკვე ამა წლის შემოდგომაზე ვლადიმერ ზელენსკი ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონს ეწვევა. ამჟამად ამ შეხვედრისთვის სამზადისი მიმდინარეობს.

ეს ინფორმაცია აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა დონბასის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში კურტ ვოლკერმაც დაადასტურა.

– ტრამპ-ზელენსკის შეხვედრა კიევს საშუალებას მისცემს, რომ აშშ-უკრაინის ურთიერთობები ახალ საფეხურზე აიყვანოს, – ამბობს ვოლკერი.

თავად ზელენსკიმ განაცხადა, რომ პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის საკითხში ტრამპი უკრაინისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს, აშშ-ის კონგრესში კი დევს კანონპროექტი, რომელიც უკრაინას აშშ-ის მოკავშირის (ნატოში გაწევრიანების გარეშე) სტატუსს აძლევს.

– ეს პროექტი ჯერ კონგრესმა უნდა დაამტკიცოს, შემდეგ – სენატმა, შემდეგ პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი. ძალაშიც მხოლოდ ამის შემდეგ შევა. ასე რომ, ეს ხანგრძლივი პროცედურაა, – თქვა ჩალიიმ.

# ტომ სტაიერი პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის




მილიარდერი ტომ სტაიერი აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის. ამის თაობაზე თავად სტაიერმა განაცხადა.

– შევეცდები, დემოკრატიული პარტიის ნომინაციაში გავიმარჯვო, – თქვა სტაიერმა.

სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ის დიდხანს ყოყმანობდა. ჯერ კიდევ 2018 წლის დეკემბერში სტაიერი აცხადებდა, რომ პრეზიდენტობაზე კენჭს არ იყრიდა.

# ტრამპმა ბრიტანეთის ელჩს აშშ-ში „სულელი კაცი“ უწოდა

დიდი ბრიტანეთის ელჩმა აშშ-ში თანამდებობა დატოვა. ამის მიზეზი დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის შესახებ ელჩის, კიმ დაროქის ელექტრონული მიმოწერების შესახებ გასაჯაროებული ინფორმაცია გახდა.

კერძოდ, გასაჯაროებულ წერილებში ელჩი ტრამპის ადმინისტრაციას შეუფერებელს უწოდებს.

აღნიშნულს თავად თეთრი სახლის ლიდერი დონალდ ტრამპი მალევე გამოეხმაურა და ელჩი მკაცრად გააკრიტიკა.

უფრო მეტიც, აშშ-ის პრეზიდენტმა დიპლომატს „სულელი კაცი“ და „ექსცენტრული ელჩი“ უწოდა.

„მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლომდე მქონდა ვადა ამ პოსტზე ვყოფილიყავი, მიმაჩნია, რომ არსებულ ვითარებაში უმჯობესი იქნება თუ ახალი ელჩი დაინიშნება აშშ-ში“ – განაცხადა კიმ დაროქმა და თანამდებობა დატოვა.

მიუხედავად გასაჯაროებული წერილებისა, ბრიტანეთის ელჩს პრემიერ ტერეზა მეის სრული მხარდაჭერა ჰქონდა.

# რუსმა დეპუტატმა ანტიპუტინური აქცია მოაწყო



ვლადიმერ პუტინის ეკატერინბუგში ჩაფრენამდე ათი წუთით ადრე, პოლიციამ ქალაქის საბჭოს დეპუტატი ნატალია კრილოვა დააკავა.

ქალს ჰქონდა პლაკატი, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა:

„ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ! როდემდე უნდა იყოს რუსეთში მასობრივი სიღატაკე? როდემდე უნდა გაგრძელდეს ჩინოვნიკების თვითნებობა?!“

პოლიციამ ქალი აეროპორტიდან გაიყვანა.

# ანგელა მერკელი ოფიციალურ შეხვედრაზე კვლავ შეუძლოდ გახდა

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ფინეთის პრემიერ-მინისტრთან, ანტი რინესთან შეხვედრის დროს ბერლინში შეუძლოდ გახდა.

მოგვიანებით გერმანიის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კანცლერი თავს კარგად გრძნობს და მოლაპარაკებები პრემიერ-მინისტრ რინესთან გეგმის მიხედვით გაგრძელდა.

ეს უკვე მესამე მსგავსი შემთხვევაა ბოლო ერთი თვის განმავლობაში.

ივნისში მერკელი შეუძლოდ გახდა უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკისთან შეხვედრისას, რამდენიმე დღეში სიტუაცია განმეორდა გერმანიის პრეზიდენტის ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის ოფისში ოფიციალური მიღების დროს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიზრონაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# თბილისის დინამო ვალდებულია, პირველი ეტაპი გადალახოს

თბილისის დინამოს მეტოქე ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ანდორული ენგორდანი იქნება.

დინამო ერთადერთი ქართული გუნდია ევროტურნირებზე, რომელსაც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი აქვს. მიზეზი მეტოქის სისუსტეა.

გასულ სეზონში ენგორდანიმ ანდორას ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა და ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის უფლება მიიღო. ენგორდანი დინამოზე ადრე ჩაება ევროტურნირზე და ევროპა ლიგის წინასწარ ეტაპზე სან მარინოს ლა ფიორიტა 2 მატჩის ჯამში 3:1 დაამარცხეს. სტუმრად 1:0, ხოლო შინ 2:1 მოიგეს.

გასულ სეზონშიც მსგავსი სტარტი ჰქონდა დინამოელთა მეტოქეს – წინასწარ ეტაპზე სან მარინოულ ფოლგორს მოუგო, მაგრამ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში ყაზახურ კაირატთან 1:10 განადგურდა.

გუნდის მწვრთნელი 35 წლის პორტუგალიელი ფილიპე ბუსტუ არის, რომელსაც განსაკუთრებული შედეგები არც ფეხბურთელობისას ჰქონია. გუნდში სულ 32 ფეხბურთელია, 24 მათგანი კი, უცხოელი გახლავთ. კლუბში ანდორას ნაკრების 4 ფეხბურთელი თამაშობს და მოთამაშეთა საშუალო ასაკი 30,3 წელი გახლავთ.

ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი 35 წლის სებასტიან გომესია, რომელმაც ანდორას დასრულებულ ჩემპიონატში 20 მატჩში ითამაშა და 5 გოლი გაიტანა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი იყო 34 წლის პორტუგალიელ ფაბიუ სერასთან ერთად.




გუნდის ძირითადი მეკარე 30 წლის ხესუს კოკა არის, რომელიც ერთ დროს მადრიდის რეალის მესამე გუნდში იყო და „სამეფო კლუბი“ 2009 წელს დატოვა.

მარჯვენა მცველი 37 წლის არგენტინელი კრისტიან სელაი გახლავთ, რომელიც 2011-13 წლებში ბოკა ხუნიორსის ფეხბურთელი იყო. ასევე, კლუბში თამაშობს ფლანგის ფრანგი სებასტიან აგუერო, რომელიც დიჟონის აღზრდილი არის, თუმცა ძირითად გუნდში არ უთამაშია.

სხვა ისეთი ფეხბურთელი, რომელზეც განსაკუთრებულად აღნიშვნა იქნებოდა შესაძლებელი, დინამოს მეტოქეს არ ჰყავს.

ენგორდანი 39 წლის წინ ჩამოყალიბდა და არსებობის განმავლობაში საუკეთესო შედეგი ანდორის უმაღლეს ჩემპიონატში დაკავებული მე-2 ადგილი გახლავთ. ძირითადად, კლუბი პირველ და მეორე დივიზიონებში მოგზაურობდა ხოლმე.

ენგორდანი ანდორას 7 ოლქიდან ერთ-ერთის ესკალადეს-ენგორდანის კლუბია. ეს ოლქი ანდორაში ყველაზე გვიან, 1978 წელს დაარსდა. მისი მოსახლეობა 14.000 ადამიანზე ოდნავ მეტია. ევროპა ლიგის მატჩებს ენგორდანი დედაქალაქ ანდორა ლა ველაში ატარებს. არენას „ესტადი კომუნალ დანდორა ლა ველა“ ჰქვია და 1.300 ადამიანზეა გათვლილი.

დინამოელები ანდორელებზე საშუალოდ 6 წლით უფრო ახალგაზრდები არიან. წესით, დინამოს ანდორულ მეტოქესთან არანაირი პრობლემები არ უნდა შეექმნას. ამ წყვილში გამარჯვებული კი, შემდეგ ეტაპზე აზერბაიჯანულ გაბალას უნდა შეხვდეს.

დინამოს საევროპე განაცხადი ასეთია:

**მეკარეები:** ხოსე პერალესი, სერგეი ლიტოვჩენკო;

**მცველები:** გუჯა რუხაია, ვიქტორ მონხილი, აბდელ მეჯუბი, დავით კობოური, გიორგი ქიმაძე, ნოდარ იაშვილი, ოლექსანდრ კაპლიენკო, ფირუზ გაბიტაშვილი;

**ნახევარმცველები:** ბაქარ ქარდავა, გიორგი ზარია, გიორგი კუხიანიძე, აკაკი შულაია, არფან დაფე, გიორგი პაპავა, ბექა დარცმელია, ირაკლი აზაროვი, ლევან შენგელია, ნიკა ნინუა, მიხაილო შიშკა, ნოდარ ქავთარაძე;

**თავდამსხმელები:** ლევან კუტალია, მათე კვირკვია.

# ჩიხურა ლუქსემბურგის ერთ-ერთ უძველეს კლუბს ესტუმრება




საჩხერის ჩიხურას ევროპულ სარბიელზე რამდენიმე კარგი და გამორჩეული მატჩი ჰქონდა. თუნდაც თურქული ბურსასპორის გამოგდება რად ღირს. ზემოიმერულ კლუბს ევროსარბიელზე ქვეყნისთვის თავი არ მოუჭრია, ყოველთვის საბრძოლო განწყობით გადიოდა მოედანზე. მიმდინარე სეზონში ჩიხურა ისეთი ვერ არის, როგორც წინა წლებში და არც ახლა ველოდებით მათგან ვარსკვლავების მოწყვეტას, თუმცა, პირველ ეტაპზე ისეთი მეტოქე ჰყავს, რომელთანაც ბრძოლა შესაძლებელია.

ფოლა ეში ლუქსემბურგის უძველესი კლუბია. საინტერესოა, რომ გუნდი 1906 წელს ინგლისურის მასწავლებელმა ჟან როდერმა დააარსა.

კლუბი ეშ-სიურ-ალზეტშია განთავსებული – პატარა ქალაქ-კომუნაში, რომელიც ლუქსემბურგის სამხრეთში, საფრანგეთის საზღვართან მდებარეობს. 2018 წლის მონაცემებით, ქალაქ-კომუნაში 35.000 ადამიანი ცხოვრობს.

დაარსების დღიდან დღემდე ფოლა ეშს ლუქსემბურგის ჩემპიონატი 7-ჯერ აქვს მოგებული. 3-ჯერ მოახერხა ქვეყნის თასზე გამარჯვება და ერთხელ სუპერთასიც მოიგო.

გუნდს ევროპის მასშტაბით ყველაზე კარგი შედეგი ევროპა ლიგის გათამაშების 2017-18 წლების სეზონში ჰქონდა, როცა 2 საფეხურის გავლა მოახერხა. პირველ ეტაპზე მოლდოვურ მისლამის მოუგო, შემდეგ კი ბაქოს ინტერი ასევე 2 მატჩის ჯამში დაამარცხა. მე-3 ეტაპზე კი შვედურ ესტერსუნდთან დამარცხდა.

ევროპა ლიგის შარშანდელ სეზონში გუნდს არ გაუმართლა. პირველ ეტაპზე პენალტების სერიაში გამოთიშა ასპარეზობას კოსოვოური პრიშტინა, თუმცა შემდეგ ბელგიური გენკი შეხვდა და 2 მატჩის ჯამში 1:9 განადგურდა.

გუნდს 2018 წლიდან ლუქსემბურგელი მწვრთნელი ჯეფ სტრასერი წვრთნის, რომელიც იქამდე კაიზერსლაუტერნის დამრიგებელი გახლდათ.

ფოლა ეშმა ლუქსემბურგის ჩემპიონატის უკვე დასრულებულ სეზონში მე-2 ადგილი დაიკავა და 9 ქულით ჩამორჩა ჩემპიონ დუდელანჟს. ფოლა ეში უეფას საკლუბო რეიტინგში 255-ე ადგილზეა. ცნობისთვის, ჩიხურა ამ რეიტინგში 318-ე ადგილს იკავებს. ფოლა ევროპა ლიგის პირველ ეტაპზე განთესილი იყო.

გუნდში 28 ფეხბურთელი ირიცხება. მათგან ნახევარი უცხოელია და მოთამაშეთა საშუალო ასაკი 26.5 წელია.

ფოლა ეშის ღირსებას ლუქსემბურგის ნაკრების ნახევარმცველი სტეფანო ბენსი იცავს. ასევე, გუნდში არის სენეგალის 23-წლამდელთა ნაკრების წევრი მუსა სეიდი, რომელიც მარცხენა გარემარბად თამაშობს. გუნდის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი სამირ ჰაჯი გახლავთ, რომელიც გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. ჰაჯიმ გასულ სეზონში ჩემპიონატის 26-ვე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 23 გოლი გაიტანა და ლუქსემბურგის პირველობის საუკეთესო მეგოლეც გახდა. თუმცა ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი, სავარაუდოდ, მაინც ზემონახსენები 22 წლის სენეგალელი მუსა სეიდი გახლავთ, რომელიც ფოლას ფრანგული მეციდან შეუერთდა და წელს 14 თამაშში 9 გოლი გაიტანა.

გამოსარჩევი ფეხბურთელია 34 წლის ნახევარმცველი ველდინ მუჰარემოვიჩი, რომელსაც ბოსნიის ეროვნულ გუნდში 3 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ასევე, 23 წლის კორენტინ კოჩური ბელგიის უმაღლეს დივიზიონში თამაშობდა მუსკრონის შემადგენლობაში. ფოლას სხვა საინტერესო ფეხბურთელები არ ჰყავს.

გუნდი მშობლიურ ქალაქში თამაშობს, „სტად ემილ მაირიშზე“, რომელიც 3.000 მაყურებელს იტევს.

# კარლ-ჰაინც რუმენიგე: „სატრანსფერო ბაზარზე ნათელი გონებით და ცივი გულით უნდა ვიმუშაოთ“



მიუნხენის ბაიერნში მცირე არეულობა იყო. ფეხბურთელები იმას ჯავრობდნენ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ტოპ-ტრანსფერზე არ ფიქრობდა. ბავარიული კლუბის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე კარლჰაინც რუმენიგე, პრესის წარმომადგენლებს შეხვდა და ახალი ტრანსფერი დააანონსა.

***– მიუნხენის ბაიერნის დღევანდელი დაცვით კმაყოფილი ხართ?***

– ვფიქრობ, რომ ლუკასის, ზულეს და ბენჟამენ პავარის სახით ბრწყინვალედ დაკომპლექტებული დაცვის ცენტრალური ხაზი მივიღეთ. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ დავიდ ალაბასა და იოშუა კიმიხს, სანერვიულო არაფერი გვექნება. აქედან გამომდინარე, უკანა ხაზში იდეალურად დაკომპლექტებული გუნდი გვყავს. ეს არის ტოპ-დონე არა მხოლოდ ბუნდესლიგის, არამედ ევროპული ფეხბურთის მასშტაბით.

***– მანუელ ნოიერის აგენტმა განაცხადა, რომ ბაიერნი ევროპულ დონეზე არაკონკურენტუნარიანია.***

– მანუელ ნოიერთან სატელეფონო საუბარი მქონდა. თომას კროტს ნოიერის პოზიცია არ გაუხმოვანებია. მან გამოთქვა მხოლოდ საკუთარი მოსაზრება, რომელიც ბაიერნმა მხედველობაში მიიღო. ამ განცხადებას ცოტათი უცნაურად შევაფასებდი. ამ დრომდე თომასთან გვქონდა მხოლოდ კარგი და სერიოზული ურთიერთობა. იმის გათვალისწინებით, რომ ყოველთვის დიდი დემოკრატიულობით გამოვირჩეოდით, ამ კრიტიკულ მოსაზრებასაც მივიღებთ.

***– როგორია ბაიერნის სატრანსფერო ბაზარზე არსებული სიტუაცია?***

– მინდა შეგახსენოთ, რომ ამ წელს სატრანსფერო ფანჯარა 2 სექტემბრამდე არ დაიხურება. მე და განსაკუთრებით ჰასან სალიჰამიჯიჩი სატრანსფერო ბაზარზე გულმოდგინედ ვმუშაობთ. ამ დრომდე არც ერთ კლუბს არ გამოუცხადებია უკვე შემდგარი დიდი ტრანსფერი, რომელიც ამ ბაზარზე დომინოს ეფექტს გამოიწვევდა. საფეხბურთო ევროპა მის მოლოდინშია. ჩვენ გვაქვს კარგი პოზიცია და დიდი მოთმინების უნარი.

ჩვენ გავიფორმეთ რამდენიმე თვის წინ ნაყიდი ფეხბურთელები. ვფიქრობ, აუცილებელია ამ ბაზარზე იმუშაო ნათელი გონებით და ცივი გულით. გარდა ამისა, აუცილებელია ყურადღების კონცენტრირება. ძალიან კარგად მესმის მათი, ვინც ვერ ითმენს და ბაიერნისგან დიდ ტრანსფერებს ელის. ჩემი მხრივ დავამატებდი, რომ 2 დღის წინ შესანიშნავი კომუნიკაცია მქონდა, რაც მაძლევს მშვიდად ყოფნის საფუძველს. საერთო ჯამში, ჩვენ მივიღებთ გუნდს, რომელიც შეძლებს წარმატებულად იასპარეზოს სამივე ტურნირზე. ამ წელსაც იმავე მიზნებს ვისახავთ, როგორც ყოველთვის.

***– სატრანსფერო სამიზნეების შესახებ რას გვეტყვით?***

– ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდის მიზნით რამდენიმე გარიგება შედგება. მათი ხარისხი უკვე საკმარისია, ამას ერთხელაც აღვნიშნავდი. ჩვენ დავთმეთ ძირითადი შემადგენლობის ერთი ფეხბურთელი, სამაგიეროდ გავიფორმეთ 2 ტოპ-ფეხბურთელი პავარისა და ერნანდესის სახით.

ძირითადი თერთმეტეულიდან მეტი ფეხბურთელი არ წავა! მოცემულ მომენტში ჩვენ 118 მილიონი ევროს ინვესტიცია განვახორციელეთ რაც რეკორდია. თუმცა ამით არაფერი არ დაგვისრულებია, ჩვენ მზად ვართ, კიდევ ერთი ტოპ-ფეხბურთელი გავიფორმოთ.

***– ლეროი სანეს გადაბირება არ ხერხდება?***

– შვებულების პერიოდში მას არ სურდა რაიმე სახის მოლაპარაკებების წარმოება. ამ კვირაში კი შვებულებიდან ბრუნდება. მას სჭირდება დრო იმისათვის, რომ იფიქროს საკუთარ მომავალთან დაკავშირებით. უნდა დაველოდოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ყველასთვის ცნობილია, რომ ფლანგის ფეხბურთელს ვეძებთ. ჩვენ მზად ვართ ამისთვის, მაგრამ ჯერ მშვიდად ყოფნაა საჭირო.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ორდაბასი ტორპედოსთან ფავორიტია

ყველაზე ცუდად საქმე ქუთაისის ტორპედოს აქვს. გუნდი 10 დღის შეკრებილი შემადგენლობით ხვდება ევროტურნირებს. თანაც, რიონისპირული გუნდი ბევრად უკეთესმა ფეხბურთელებმა დატოვეს, ვიდრე შევსება მიიღეს. მეტოქეც სხვებზე ძლიერი ჰყავს – ყაზახური ორდაბასი.

ორდაბასი ახალგაზრდა კლუბია – 1998 წელს ჩამოყალიბდა სახელწოდებით დოსტიკი და 2 კლუბის ტომირისისა და ჟიგერის გაერთიანებით შეიქმნა.

ქალაქ ჩიმკენტის გუნდია, ჩიმკენტი კი, ყაზახეთში ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია და მისი მოსახლეობა 1 მილიონს აღემატება. უზბეკეთისა და ყირგიზეთის საზღვართან მდებარე ქალაქში ყაზახებმა 20.000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონი ააშენეს და ის ხაჯიმუკან მუნაიტპასოვის სახელობისაა, რომელიც ცნობილი ყაზახი მოჭიდავე და ცირკის ოსტატი იყო.

დაარსების შემდეგ ორდაბასი ყაზახეთის ჩემპიონატში განსაკუთრებული შედეგებით არ გამოირჩევა. ერთადერთი ტიტული, რაც კლუბს არსებობის განმავლობაში მოუგია, ყაზახეთის თასია. ეს შიმკენტელებმა 2011 წელს მოახერხეს.

ჩემპიონატში ყველაზე მაღალი ადგილი 2017 წელს დაიკავეს, როდესაც ბრინჯაოს მედალი აიღეს, ხოლო გასულ სეზონში მე-4-ზე იყვნენ. მაგრამ, რადგანაც თასი მეორე ადგილზე გასულმა კაირათმა მოიგო, ორდაბასი ევროპა ლიგაზე გამსვლელ გუნდებს შორის მოხვდა.

არც ევროთასებზე აქვთ ხელშესახები მიღწევები. უეფას ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა მხოლოდ ერთხელ, 2012 წელს მოახერხეს, როცა 2 მატჩის ჯამში სერბულ იაგოდინას აჯობეს. გასულ სეზონში კი ევროპა ლიგის პირველ რაუნდში ბოსნიურ შიროკი ბრიეგთან დამარცხდა.

მოგეხსენებათ, ორდაბასის მთავარი მწვრთნელი ქართველი კახაბერ ცხადაძე გახლავთ, რომელმაც ყაზახური გუნდი 1 წლის წინ ჩაიბარა.

წლევანდელ სეზონში ორდაბასი ყაზახეთის ჩემპიონატში მე-3 ადგილზეა და ლიდერებს – ასტანასა და ტობოლს 5-5 ქულით ჩამორჩება, მაგრამ ასტანაზე 2 თამაშით ნაკლები აქვს გამართული, ხოლო ტობოლთან თანაბარი რაოდენობის.

ჩიმკენტური გუნდი განსაკუთრებით კარგად დაცვაში გამოიყურება და ჩატარებულ 17 მატჩში მხოლოდ 9 გოლი გაუშვეს და 10 შეხვედრაში კარი მშრალად შეინახეს.

ორდაბასის რიგებში 25 ფეხბურთელი ირიცხება და მათი ერთიანი სატრანსფერო ფასი 15,88 მილიონი ევროა. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყაზახურ კლუბს საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელები ჰყავს. ცხადია, ტორპედოს საზომით. ორდაბასის ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 27,6 წელი გახლავთ. 7 მათგანი ეროვნული ნაკრების წევრია, გუნდშია ამდენივე ლეგიონერი.

ორდაბასის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ასტანადან გადმოსული ალექსეი შჩეტკინი გახლავთ, მაღალი და ფიზიკურად ძლიერი თავდამსხმელი, რომელიც ქართველებს მწარედ გვახსოვს ასტანის შემადგენლობიდან, როდესაც თბილისის დინამო დაამარცხეს.

ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი ჟოაუ პაულუ უნდა იყოს, რომელიც ბულგარული ლუდოგორეციდან 2019 წლის პირველ ნოემბრამდე იჯარით არის აყვანილი. პაულუმ წლევანდელ ჩემპიონატში 9 გოლი გაიტანა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ორდაბასი ტორპედოსთან ფავორიტია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

და გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. ასევე, კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს 26 წლის ყაზახი თავდამსხმელი ტოკტარ ჟანგილიშბაი, რომელმაც ჩემპიონატში 7 გოლი გაიტანა.

გუნდში ირიცხება ბელგიელ-კონგოელი ფორვარდი ზიგი ბადიბანგა, რომელმაც შარშან ტორპედო უკვე გაამწარა, მაგრამ შერიფის მაისურით – 2 გოლი გაუტანა რიონისპირელებს. თუმცა, წელს ბადიბანგა არც ისე კარგად გამოიყურება და გოლი არ გაუტანია, არც ძირითად შემადგენლობაში უთამაშია. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ მასზე მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავთ.

ორდაბასის ლუდოგორეციდან კიდევ ერთი ფეხბურთელი ჰყავს იჯარით აყვანილი. მაი მალანგუ სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელია, რომელიც ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე გამოდის, სხვადასხვა ქვეყანაში უთამაშია. მისი მეწყვილეა აბდულაი დიახტე, რომელიც გუნდის ერთ-ერთი ძვირადღირებული ფეხბურთელია და საყრდენის პოზიციაზე თამაშობს. ასე რომ, მოედნის ცენტრშიც ყაზახებს უპირატესობა ექნებათ. ცხადია, ეს ჩვენი ვარაუდია...

გუნდის კაპიტანი არგენტინელი მცველი პაბლო ფონტანელო გახლავთ. მისი მეწყვილე ყაზახეთის ნაკრების ცენტრალური მცველი სერგეი მალი, რომელთანაც ქართველებს კარგი მოგონება გვაქვს – სწორედ მან გაიტანა საკუთარ კარში გოლი ყაზახეთთან ერთა ლიგაზე გასვლაზე მოგებულ შეხვედრაში (0:2).

საინტერესო ფეხბურთელი გახლავთ ორდაბასის მეკარე დმიტრო ნეპოგოდოვი, რომელიც ერთ დროს ფრანგულ მარსელში ირიცხებოდა და საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონიც გახდა, თუმცა ლიგა 1-ში შეხვედრა არ ჩაუტარებია. ნეპოგოდოვი საკმაოდ კარგად ასპარეზობს ბოლო დროს და 30 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი ყაზახეთის ნაკრებში.

ამის ფონზე, ტორპედოს იმ შემადგენლობითაც ძალიან გაუჭირდებოდა ორდაბასისთან, რომელიც ფეხბურთელების წასვლამდე ჰყავდა. ორდაბასი აშკარა ფავორიტია. ტორპედოს არც ერთ რგოლში არ აქვს უპირატესობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფავორიტი აუცილებლად მოიგებს.




ქუთაისურმა კლუბმა საევროპე განაცხადი გამოაქვეყნა:

**მეკარეები:** როინ კვასხვაძე, მაქსიმე ქვილითაია, დავით ასათიანი;

**მცველები:** ანრი ჭიჭინაძე, დავით ხურცილავა, ვაჟა ტაბატაძე, გიორგი გადრანი, ცოტნე ნადარაია, ვახტანგ ნებიერიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი;

**ნახევარმცველები:** მათე ცინცაძე, თემურ ჩოგაძე, გრიგოლ დოლიძე, ოთარ კობახიძე, ცოტნე მოსიაშვილი, პაპუნა ფონიავა, თამაზ ცეცხლაძე, ზაზა ციცქიშვილი, თამაზ შარვაშიძე, მათე აბულაძე;

**თავდამსხმელები:** ბუდუ ზივზივაძე, თორნიკე კაპანაძე, დავით იონანიძე.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კიმ კარდაშიანი ავადმყოფ ქალს სიმორცხვის დაძლევაში დაეხმარა



კიმ კარდაშიანის კოსმეტიკური ბრენდის KKW Beauty-ს საცხი ჰიპერტონიით დაავადებულ ქალს დაეხმარა დაავადების შედეგები დაეფარა, რის გამოც მას სახლიდან მოკლე კაბით, ან შორტებით გამოსვლის რცხვენოდა.

კალიფორნიელმა ვიზაჟისტმა კატერინა მარუფომ თავისი დედის დაავადებული ფეხების ფოტოსურათი ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. გოგონამ კომენტარში აღნიშნა, რომ დაავადებამ მის ფეხებს ფერი შეუცვალა, რის გამოც ის გარეთ გასვლას ღია სამოსით ერიდებოდა.

– როდესაც შედგები საკუთარი თვალით დავინახე, მივხვდი, რომ ის აუცილებლად უნდა გამომექვეყნებინა. ყველამ უნდა ნახოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროდუქტი იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც რაიმე სახის კანის დაავადება აქვთ, ან უბრალოდ მათთვის, ვისაც რაიმე ნაკლოვანების დაფარვა სურთ, – დაწერა მარუფომ.

ვიზაჟისტის მიერ გამოქვეყნებულმა ამ ინფორმაციამ 245 ათასზე მეტი მოწონება და ათასამდე კომენტარი მიიღო. სურათის ნახვის შემდეგ კი ცნობილმა ბოდიპოზიტივის მომხრე ჯამილა ჯამილმა კიმ კარდაშიანს მისი პროდუქციის მიმართ საკუთარი უხეში კომენტარების გამო მოუბოდიშა.

# მეგან მარკლმა მუდმივი სამსახური იპოვა



დიდი ბრიტანეთის პრინც ჰარის მეუღლე მეგან მარკლს სურს ამერიკული და ბრიტანული გამოცემების მოდის ჟურნალ ვოგის მუდმივი სვეტი მიჰყავდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ დროისთვის სასექსის ჰერცოგინიას მოლაპარაკებები აქვს ვოგის მთავარ რედაქტორ ანა ვინტურთან. წინასწარი ინფორმაციის თანახმად, მარკლის სტატიები საქველმოქმედო საქმიანობისადმი იქნება მიძღვნილი.

აღსანიშნავია, რომ ივნისში მარკლმა უარით უპასუხა ვოგის შეთავაზებას ჟურნალის სექტემბრის ნომრისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიეღო მონაწილეობა. და მაინც, მისი ფოტოსურათი ჟურნალში მაინც გამოქვეყნდება იმ გვერდზე, რომელიც ფემინიზმზე გამოქვეყნებულ მასალებს მიეძღვნება.

ბუკინჰემის სასახლეს ამ საკითხზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

# ქალმა მანქანა გველის გამოყენებით გაიტაცა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ გრინვილის მცხოვრებმა ქალმა მანქანის მფლობელ ქალს გველი ესროლა და შემდეგ მისი ავტომობილი გაიტაცა.

29 წლის ჰილმარი მორენო-ბერიოსმა თავის მსხვერპლს ჯერ ჯოხი ჩაარტყა, შემდეგ კი შავი ფერის ცოცხალი გველი მიაგდო, უკვე ამის შემდეგ კი მას მისი ავტომობილის ვერცხლისფერი ჰონდა ცრ-ვ-ს გასაღები წაართვა და მანქანა გაიტაცა. დაზარალებულმა მაშინვე მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა.

პოლიციელები გატაცებულ მანქანას აედევნენ და მორინო-ბერიოსი დააკავეს. 8 ივლისს კანონდამრღვევი სასამართლოს წინაშე წარდგა, მას ავტომობილის გატაცების და სხვისი საკუთრების განზრახ დაზიანების ბრალდება წაუყენეს. დამნაშავე გრინვილის ოლქის საგამოძიებო იზოლატორში მოათავსეს. მას საპატიმროს დატოვება 25 ათასი დოლარის გირაოს შეტანის შემდეგ შეეძლება.

# მილიონერმა „წვეულებების მოყვარულის“ ვაკანსია გახსნა



მილიონერმა ფუფუნების საგნების ინტერნეტ-მაღაზიას ანონიმურად განუცხადა, რომ კომპანიონს ეძებს მუსიკალურ ფესტივალებზე დასასწრებად. ინტერნეტ-მაღაზიის მონაცემებით, მილიონერი კანდიდატს ერთ კონცერტზე დასწრებაში ხუთი ათას ფუნტ სტერლინგს გადაუხდის.

შემკვეთმა აღიარა, რომ ყოველთვის ოცნებობდა რომელიმე ფესტივალს დასწრებოდა. მისი თქმით, თანამგზავრის მოვალეობაში შედის კარვის დადგმა, კემპინგისთვის აუცილებელი ნივთების შეძენა და „დაუვიწყარი შეგრძნებების“ ორგანიზება. ის აპირებს დაესწროს მასშტაბურ კონცერტებს, რომლებიც 2019 წელს ევროპის ქვეყნებში გაიმართება. ფიქსირებული ხელფასის გარდა, მილიონერი კანდიდატს ორ ადამიანზე შესასვლელ ბილეთსაც პირდება.

პოტენციური კანდიდატი უნდა იყოს სრულწლოვანი, თან უნდა იქონიოს პასპორტი და მუსიკალურ ფესტივალებში უნდა ერკვეოდეს. ამ მომენტისთვის ვაკანსია გახსნილია და მოთხოვნების აღწერის შემდეგ ინტერნეტ-მაღაზია მსურველებს გასაუბრებაზე გასასვლელად ანკეტის შევსებას თავაზობს. ამისთვის კი უბრალოდ საჭიროა მხოლოდ სახელის, ელექტრონული მისამართის, ტელეფონის ნომრის შეყვანა და საკუთარი გამოცდილების აღწერა.

# სექს-ფესტივალზე მისულმა ქალმა ინფარქტი მიიღო



ინგლისის ვუსტერშირის საგრაფოში ქალი სამდღიან ფესტივალს დაესწრო და გულის შეტევა დაემართა.

52 წლის ქალს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, სულის ხუთვა დაეწყო. მას ადგილზევე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და შემდეგ შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ქალს ექიმებმა ინფარქტის დიაგნოზი დაუსვეს.

– ფესტივალზე მოსული 700 სვინგერი ამ ინციდენტის შედეგად შოკში აღმოჩნდა. თუმცა ეს ყოველივე მალევე დაივიწყეს და მხიარულება და თამაშებში მონაწილეობა გააგრძელეს, – განუცხადა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას ფესტივალის ანონიმმა მონაწილემ, – ზოგიერთმა იქ მყოფმა იხუმრა კიდეც, რომ თამაშის დროს, როგორც ჩანს, ზედმეტი მოუვიდათ.

საავადმყოფოში მოთავსებულ ქალს, სავარაუდოდ, მალე გამოწერენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 11 ივლისისთვის



**ვერძი** – ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობას ერიდეთ. ეძიეთ შემოსავლის განსხვავებული წყარო. **კურო** – ხელმძღვანელობასთან საკუთარ პრინციპებს ნუ დაიცავთ. ინტუიციას მიენდეთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოწესრიგება დღესვე დაიწყეთ. ერიდეთ კამათს უფროსობასთან. **კირჩხიბი** – ზედმეტ დატვირთვასა და ახალი საქმის დაწყებას ვარსკვლავები გიკრძალავენ. კარგი იქნება, თუ საღამოს ახლო მეგობრებთან ერთად გაატარებთ და მოდუნდებით. **ლომი** – კრიტიკული დღეა. კონტაქტები შეამცირეთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** – განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ბუნების წიაღში გასეირნება და მცირეოდენი ფიზიკური ვარჯიში დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** – პასიური დღეა. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დაშვებული შეცდომები რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროთ. **მშვილდოსანი** – შორს გამგზავრებას ერიდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრები, ასევე ყოველდღიური სამუშაო დაგქანცავთ. დრო გამოყავით სულიერი და ფიზიკური ძალების აღსადგენად. **მერწყული** – დღის დადებითი ტენდენციები მძლავრობს. შესაფერისი პერიოდია ახალი ფინანსური გარიგებებისათვის. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 2. ცხვირის ღრუს ანთება; 3. საშემოდგომო ხორბლის ქართული ჯიში; 5. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 6. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 8. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 11. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 14. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 15. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. მდინარე კახეთში.

**თარაზულად:** 1. ფერთა სიუხვე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 7. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 9. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 12. არყის მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. საქართველოს ნაკრებისა და დონეცკის „შახტარი“-ს ფეხბურთელი; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 18. ქალაქი იმერეთში; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 22. კათოლიკური მონასტერი პოლონეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. კარდიფი; 2. არგუმენტი; 3. დეკალოგი; 4. თეორემა; 5. ნაბუკო; 9. სეგუნი; 11. ხურჯინი; 12. ხანძთა; 14. ამსტელი; 18. იახტა; 19. დიუმა.

**თარაზულად**: 4. თაბახი; 5. ნეგროიდი; 6. ქეიფი; 7. კომედია; 8. ზუროსი; 10. ჩარხი; 13. ფიასკო; 15. ელეგია; 16. გაჯი; 17. ლალი; 20. ტაპირი; 21. ჩაროზი; 22. პატრული; 23. მუჯირი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფაუსტი; 2. გულაბი; 3. ტაიჭი; 5. ტუბა; 6. ჟენევა; 8. მთიელი; 11. ტაქსაფონი; 13. არაბიკა; 14. ამარეტო; 15. ჩარდაში; 19. როდა.

**თარაზულად**: 1. ფარენგეიტი; 4. კურტაჟი; 7. ურთხელი; 9. ჭიათურა; 10. შტაბი; 12. კვესტურა; 16. რიტორიკა; 17. მაჯონგი; 18. კრაისლერი; 20. ნეფრიტი; 21. გაჯი; 22. ჰიდრანტი.

# ალექსეი პუშკოვს ნინო ქათამაძისთვის რუსეთში ჩასვლაზე შეზღუდვების დაწესება სურს

სენატორმა ალექსეი პუშკოვმა სათათბიროს სხდომაზე განაცხადა, რომ სურს დაუწესდეს სანქციები ნინო ქათამაძეს რუსეთში შესვლაზე:

– ჩვენ თავის დროზე დავაწესეთ შეზღუდვები რუსეთში შემოსვლასთან დაკავშირებით იმ უცხოელი პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან ანტირუსული რუსოფობიული განცხადებებით. მათ შორის, უკრაინიდანაც.

ჩემი აზრით, ნინო ქათამაძის განცხადება, რომელიც ამტკიცებს, რომ ეზიზღება რუსეთი, მაგრამ ჩამოდის ჩვენთან, ატარებს კონცერტებს და შოულობს ფულს, არის ამორალური და ცინიკური.

გთავაზობთ, დავაწესოთ შეზღუდვები მის რუსეთში ჩამოსვლასთან დაკავშირებით და ვიმოქმედოთ ისე, როგორც ვმოქმედებთ ყველა იმ პიროვნების მიმართ, ვინც რუსოფობიული გამონათქვამებით გამოირჩევა.



# კონსერვატორიის სტუდენტ თორნიკე ბერიძეს რაინდის მიტინგზე ბალთიანი ქამრით თავი გაუტეხეს



კონსერვატორიის სტუდენტს, 22 წლის თორნიკე ბერიძეს, რაინდის მიტინგზე ბალთიანი ქამრით თავი გაუტეხეს.

ინფორმაცია კონსერვატორიის პროფესორმა ნინო ჟვანიამ გაავრცელა:

– ეს თბილისის კონსერვატორიის სტუდენტია, 22 წლის თორნიკე ბერიძე. მივიდა ანტისაოკუპაციო მიტინგზე, მაგრამ ამ გაწამაწიაში აღმოჩნდა რაინდის მიტინგზე, იქითა მხარეს ანუ.

„მერე გამოდიოდა მამაო და ვუსმენდით, რას ლაპარაკობდა, ჩემი შვილიც იდგა იქვე, ღია ფერის მაისური ეცვა“ – იხსენებს თორნიკეს დედა, – „ვიღაც მოვიდა დიდი ქამრით, ბალთიანი ქამრით, ჩაარტყა პირდაპირ სახეში, თავში, ისე, რომ აზრზე ვერ მოვედით, რა უნდოდა, ვინ იყო, ჩაარტყა და გაიქცა.“

ჩემი ერთი ნაცნობი გამახსენდა. მოწევდა 5 სიგარეტს და მერე მოძღვართან გარბოდა მოსანანიებლად. ასე მაინც ნაკლები ცოდვააო. ამის გამკეთებელიც გაიქცა მერე მოსანანიებლად თუ ამას საერთოდ არ თვლის ცოდვად?

ვილიმი, რადგან ვიცი, რომ თორნიკე კარგადაა. ნუ, პირობითად. 3 ნაკერი კი დაადეს თურმე თავზე.

# ბექა გოჩიაშვილი: „ტატუნაშვილის შემდეგ, ქართველ მაგინებელს პროვოკატორს როგორ ეძახით?“



კითხულობს ჯაზმუსიკოსი ბექა გოჩიაშვილი და დარწმუნებულია, რომ ქართველი ვერასდროს ვერ იქნება პროვოკატორი რუსეთთან:

– ვერასდროს, ვერანაირად, ქართველი ვერ იქნება პროვოკატორი რუსეთთან. მით უმეტეს, დღევანდელ პოლიტიკაში. ემოციურად ვინმე თუ იუზრდელებს პირდაპირ ეთერში, ვლადიმერს ძალიან კიდია. გაბუნია ძალიან პატარა საზომია რუსეთისთვის, იმათთან შედარებით, ვისგანაც დაუნდობელ კრიტიკას და ხშირად უტაქტო განცხადებებს იღებს, სხვადასხვა ქვეყნის პრესისა და ტელევიზიისგან.

ყველაზე უტიფრობად ის მიმაჩნია, გაბუნიას გინებით რო ხართ პატრიოტულად შეშინებულები და ამ დროს, რაც რეალურად საშიში იყო: 2 კვირის წინ – რუსი დეპუტატი გვეჯდა პარლამენტში და რჩევა-დარიგებებს იძლეოდა.

ტატუნაშვილის შემდეგ, ქართველ მაგინებელს პროვოკატორს როგორ ეძახით? რამდენიმე ათასობით ხალხი იყო ქუჩაში გასული საქართველოში რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგის არ შეგვშინებია, გაბუნია ჩესტზე ვის შეეხო, მაგრა კიდია რუსეთს, დამიჯერეთ.

# გია როინიშვილი: „ახლა მაინც ხვდებით, რა მზაკვარი, ანტიქართული ხელისუფლება გვყავს?!“



მსახიობი გია როინიშვილი საქართველოს მთავრობას მზაკვარს და ანტიქართულს უწოდებს:

– ახალგაზრდებო, ახლა მაინც ხვდებით, რა მზაკვარი, ანტიქართული ხელისუფლება გვყავს?!

ხელისუფლება, რომელიც სკამის შენარჩუნებისთვის ყველაფერს იკადრებს!

# ერეკლე დეისაძე მთავრობას აკრიტიკებს



მომღერალი და მწერალი ერეკლე დეისაძე საქართველოს მთავრობას აკრიტიკებს:

– კაცი, რომელიც ამ ქვეყნის პირველი მტერია, ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული, მაგრამ აფხაზეთსა და ოსეთში გენოციდს აქეთ გაბრალებს, ისტორიულ ფაქტებს გიმახინჯებს, ქართველებს მკვლელებად მოიხსენიებს, ამ კაცის მიმართ მადლიერება, სანქციების არდაწესების გამო, სირცხვილია.

# გიორგი კეკელიძე: „ყველაზე საშიში და ხანგრძლივად მოქმედი ბომბი სიტყვაა“

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ საქართველოს ისტორიის დამახინჯების თემას ეხმაურება:

– აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაზე საშიში და ხანგრძლივად მოქმედი ბომბი იმ სამყაროში, სადაც ვცხოვრობთ, სიტყვაა, ანუ დღევანდელ ენაზე რომ ვთქვათ, საინფორმაციო ომია საფრთხეთა შორის უპირატესი.

შეიძლება ზოგიერთს ამხანაგი პუტინის ვერსიაზე საქართველოს ისტორიის შესახებ, აფხაზეთთან და ოსეთთან დაკავშირებით, გაეცინა კიდეც. გაეცინა და თქვა: „რა მობოდა, ეს ხომ ყველამ იცის?“ ვინ ყველამ?!

უამრავ უცხოელ კოლეგასთან მიწევს შეხვედრა, საქართველოს შესახებ ძალიან, ძალიან ცოტა იციან. რუსული ფულით გამართული პროპაგანდით კი აქტიურად იჟღინთება ყველა კუნჭული.

სამშვიდობო ლიტერატურულ ფორმატში შევხვედრივარ აფხაზ მწერლებს. მათი ცოდნა ძირითადად ამ ინტერპრეტაციას ეფუძნება, მით უფრო, ახალი თაობის. არადა წლების მერე, როცა ერთმანეთს უნდა დავუბრუნდეთ, ეს „ცოდნა“ ძალიან შეგვიშლის ხელს.



მტერი მზაკვარია და გამოცდილი. ჩვენ ხან გულუბრყვილოები. მთავარ ამბად მისი გამოსვლიდან კეთილი მეფის როლი ავარჩიეთ და სანქციების აცილების გამო ლამის ვაშა „ურად“ გადავაკეთეთ. ძალიან ცხადად მესმის სანქციის მავნებლობაც და ყოველთვის პრაგმატული პოლიტიკის მომხრე ვარ რაღაც საზღვრამდე. ეს საზღვარი იქ გადის, სადაც ჩვენ, აქეთ სახლ, მიწა და ადამიანებწართმეულმა ხალხმა, თურმე მადლობა უნდა ვუხადოთ პუტინს და რუსულ იმპერიალიზმს მხოლოდ იმის გამო, რომ მათი დეპუტატი არ მოგვეწონა საკუთარ პარლამენტში და ა.შ. „ვორონცოვის კომპლექსი“ უნდა დავძლიოთ და კახაბერს კახაბერი დავარქვათ. და უნდა ვიმუშაოთ ბევრი, ძალიან ბევრი. ხშირად ველაპარაკოთ მსოფლიოს, გავიტანოთ ჩვენი დიდი კულტურა, მოვუყვეთ მნიშვნელოვანი ტრადიციების შესახებ, გავხსნათ ქართული ცენტრები, არ გავაყალბებინოთ ისტორია. ეს არის ახლა ჩვენი ბრძოლის ველი. არც ისტერია, ოღონდ, არც მცდარი ისტორია.

## მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# „არტ-გენი“ დასკვნით კონცერტებს ღია ცის ქვეშ მართავს

ფესტივალმა „არტ-გენი“ დაასრულა საქართველოს რეგიონებში საფესტივალო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები და ახლა დასკვნით კონცერტებს თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ მართავს.

ფესტივალის ფარგლებში ყოველდღიურად წარმოდგენილი იქნება ხალხური რეწვის და თანამედროვე ხელოვნების გამოფენები, გაიმართება ფოლკლორის კონცერტები და მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული ანსამბლები.

ყოველი საფესტივალო დღის ბოლოს კი დასკვნით კონცერტებს წარმოადგენენ დავით ევგენიძე, სუხიშვილები, ნინო ქათამაძე, ნიაზ დიასამიძე, სალომე კორკოტაშვილი, მებო ნუცუბიძე, ფრანი, ბაკურ ბურდული, რეგიონი, ჩვენებურები და ლელა ნაყეური.

წლევანდელი „არტ-გენი“ 14 ივლისს დასრულდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი

# მანქანაში ჩამჯდარმა დათვმა ავარია მოახდინა

ამერიკის კოლორადოს შტატში დათვმა ღიად დატოვებულ მანქანაში შეაღწია, მისი ადგილიდან დაძვრა მოახერხა და ავარია მოახდინა.

მტაცებელი ცხოველი ავტომობილში საკვების ძებნის დროს შეძვრა. რაღაცნაირად დათვმა სიჩქარეთა კოლოფის ბერკეტის ნეიტრალურში გადაყვანა შეძლო. მანქანა დაღმართზე დაგორდა. მან დაახლოებით 30 მეტრი გაიარა და ხეს შეასკდა.

ამის შემდეგ დათვმა შემთხვევის ადგილი დატოვა. ავტომობილის დატოვების მცდელობისას მან მარცხენა კარის შიდა ფენა გამოგლიჯა.

უცნობია, თუ რომელი სახეობის დათვმა მოაწყო ავარია. სამართალდამცავებივარაუდობენ, რომ ეს შავი დათვი იყო.

# მამაკაცმა ნათესავები ხანძარს გამოსტაცა



შოტლანდიის ქალაქ აბერდინში მამაკაცმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ნათესავები ხანძრიდან გამოიყვანა.

ინციდენტი გასული კვირის ბოლოს დილით ადრე მოხდა. 20 წლის დერიკ ბერდს სახლში მთელ ოჯახთან ერთად ეძინა, როდესაც სახლს ცეცხლი წაეკიდა. მან ნათესავების ყვირილის ხმა გაიგონა და ქუჩაში გამოვარდა, რათა მათ ხანძრისგან თავის დაღწევაში დახმარებოდა. ისინი ამ დროს სახლის მეორე სართულზე იმყოფებოდნენ. ბერდმა ფანჯრიდან გადმომხტარი ორი ბიჭი დაიჭირა.

ამის შემდეგ სახურავიდან ჩამოსვლისას მისი და ჩამოვარდა და ამიტომ მის რვა წლის გოგონა მერსედესს შეეშინდა და ალმოდებულ სახლში დარჩა.

– ის მე მეძახდა, – იხსენებს ბერდი, – მის დაღუპვას ვერ დავუშვებდი.

ის სახლში შებრუნდა, ტანსაცმელი გაიხადა, გოგონას სახეზე ქსოვილი შემოახვია, რათა მხუთავი აირისგან დაეცვა და სახლიდან გამოიყვანა. ახალგაზრდა მამაკაცმა მეორე და მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო და ის თავის ორ ნათესავთან ერთად საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა განაცხადეს, რომ სახლი აღდგენას არ ექვემდებარება, თუმცა, სამაგიეროდ, ბერდის გმირობის წყალობით, ოჯახის არც ერთი წევრი არ დაღუპულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.8542
- ევრო — 3.2027
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5595
- 100 რუსული რუბლი — 4.5624





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“




9 ივლისიდან

ჯეიმს ფონიმორ კუპერი

**ჯაშუში**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

**პოლიანა**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი





## იუმორი

პატარა გოგონას საბავშვო ბაღში წასაყვანად ამზადებენ. ამ დროს მამა ეუბნება:

– ამხელა გოგოს, დედა რომ გაცმევს, რა, პატარა ხარ?

– ვის ეუბნები, ყოველ ღამე დედასთან რომ გძინავს, პატარა ხარ?!

•••

სადედამთილომ საპატარძლო საქორწინო კაბაში გამოწყობილი შეათვალიერა და ეუბნება:

– ისე, რა კაბა გაცვია.

– არა უშავს, შემდეგ ქორწილში უკეთესი მეცმევა!

•••

მშობლებმა პატარა ბავშვს დაბადების დღეზე დოლი აჩუქეს. ერთი კვირის შემდეგ მეზობელი მამაკაცი ეუბნება:

– მეგობარო, თუ იცი, შიგნით რა დევს?!

•••

დილით სამსახურში ერთი მედდა მეორეს ეკითხება:

– თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

– დილით, ქმარმა რომ გაიღვიძა, შევეკითხე: „რომელი პალატიდან ხარ?“...

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ქმარს არასოდეს, არაფერში ვეწინააღმდეგები.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ვიცი, მაინც ისე იქნება, როგორც მე მინდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სოლსკიაერს პოგბას დარჩენა სურს



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარ მწვრთნელ ოლე გუნარ სოლსკიაერს სურს, რომ პოლ პოგბა გუნდში დარჩეს და მან პოგბას თხოვნითაც მიმართა.

სოლსკიაერის თქმით, პოგბა ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პოზიციაზე და მისი წასვლა გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება:

– პოლთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და გულწრფელად მინდა, რომ ის გუნდში დარჩეს. ის შესანიშნავი ფეხბურთელი და კარგი ადამიანია, ამიტომ მისი წასვლა არავის უნდა.

პოგბას შეძენით ყველაზე მეტად იუვენტუსი და რეალი არიან დაინტერესებულები.

## 12 ივლისს გრიზმანი ბარსელონას ფეხბურთელი გახდება



ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 12 ივლისს გრიზმანი ოფიციალურად ბარსელონას ფეხბურთელი გახდება.

ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ბარსელონას გარკვეული პრობლემები შეექმნა, თუმცა რა პრობლემებზეა საუბარი, ცნობილი არ არის.

გრიზმანის ბარსელონაში გადასვლაზე ცნობილი ერთი თვის წინ გახდა, მაგრამ ტრანსფერი გაჭიანურდა და ამის მიზეზებზე ბარსელონაში არ საუბრობენ.

გრიზმანის სატრანსფერო ფასი 120 მილიონია და კატალონიელებს სწორედ ამ თანხის გადახდა მოუწევთ.

## ლივერპული მარკო ასენსიოთი დაინტერესდა



ლივერპული მადრიდის რეალის ფეხბურთელით მარკო ასენსიოთი დაინტერესდა, რომელმაც შესაძლოა ზაფხულში რეალი დატოვოს.

ასენსიომ გასულ სეზონში რეალის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, ამიტომ მისი წასვლა მოულოდნელობა არ იქნება.

ლივერპულს ზაფხულში ჯერჯერობით სერიოზული ტრანსფერი არ გაუკეთებია და ასენსიოში ის სოლიდურ თანხას იხდის.

თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

## მესის რესტორანი 15 დღის განმავლობაში უსახლკაროებს უფასოდ მოემსახურება



არგენტინაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა და ლიონელ მესიმ გადაწყვიტა, რომ გაჭირვებულ ხალხს დაეხმაროს.

ლეოს თავის რესტორანი აქვს, რომელიც 15 დღის განმავლობაში უსახლკაროებს და გაჭირვებულ ხალხს უფასოდ მოემსახურება.

მესიმ განაცხადა, რომ მას აწუხებს არგენტინელების ყოფა და ვალდებულია, რომ ხალხს დაეხმაროს.

როგორც ჩანს, მესი არ არის ნაწყენი თავის თანამემამულეებზე, რომლებიც მას ნაკრებში წარუმატებლობის გამო ხშირად აკრიტიკებენ. ასე იყო წელსაც, როდესაც არგენტინამ კვლავ ვერ შეძლო კოპა ამერიკის მოგება.

## ჰუმელსი ბაიერნიდან ლუკა ერნანდესის გამო წავიდა



მიუნხენის ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა ნიკო კოვაჩმა მატს ჰუმელსის წასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ ამის მიზეზი ლუკა ერნანდესის გადმოსვლაა ბაიერნში.

ბაიერნმა ერნანდესი ატლეტიკოდან იყიდა და მასში 80 მილიონი გადაიხადა. კოვაჩის თქმით, ჰუმელსს კონკურენციის შეეშინდა:

– ერნანდესის ყიდვის შემდეგ ჰუმელსმა შეკითხვა დაგვისვა, ექნებოდა თუ არა მას გარანტირებული ადგილი სასტარტო შემადგენლობაში? რაზეც ვუპასუხეთ, რომ გარანტირებული ადგილი არავის აქვს. ვფიქრობ, ჰუმელსი ამ მიზეზის გამო წავიდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა სამხედრო ნაწილში; 2. თაღლითი, რომელიც რაიმე დარგია სპეციალისტად ასაღებს თავს; 3. უდაბნო შუა-აზიაში; 4. მკვრივი ქანების სანგრევად გამოყენებული ორ წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 5. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 9. პატარა იუმორისტული საესტრადო პიესა; 11. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 12. ქართული ზღაპარი; 14. ფრანგული, ცხარე გემოს მქონე ყველი; 18. პოეტი-მომღერალი მუსლიმანურ ქვეყნებში; 19. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 4. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 5. შაქრის ლერწმის შაქარი; 6. ღვინის სასმისი; 7. სასიამოვნო სურნელება; 8. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 10. ფინანსურ-საკრედიტო დაწესებულება; 13. ძველი ბერძენი მოქანდაკე სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი; 15. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 16. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ-იორკში; 17. იტალიური ორცხობილა; 20. მაღალფეხიანი ბროლის ჭიქა; 21. სვან მამაკაცთა ცეკვა; 22. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 23. იაპონური მოტოციკლეტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*


ჩან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ






ძიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




ბეი ფუ დი ჰუანგ ვან + ცუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/